

სამედიცინო

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამომცემი

გამომცემი 1957 წლიდან

№5 (263) მაისი, 2013 წ. www.tsmu.edu

გაზეთი



ნომერშია:

კონსურსი აკადემიური
თანამდებობების
დასაკავებლად
გვ. 2

მომავალი გენეტიკის
ეკუთვნის
გვ. 3

რადიაციული
უსაფრთხოებისთვის:
გვესაუბრება ბიოლოგიის
მეცნიერებთა დოქტორი
დავით

ნადარეიშვილი
გვ. 4-5

კლინიკური
ტოქსიკოლოგიის
სწავლების არეალის
გასაფართოებლად
გვ. 5

მაკა გულიშვილი –
წარმატებული ექიმი არა
მხოლოდ პროფესიული
საქმიანობით
გვ. 6

სტუდენტური კვლევა
აუტიზმის შესახებ
გვ. 6

მიუძღვნა **თამარ მეფის**
გვ. 7

შეხვედრა პოეტთან
გვ. 7

**„სამედიცინო გაზეთის“
რედაქცია:**

ვაჟა-ფშაველას გამზ.
№33;

ოთახი №600
ტ.: 254-24-64;

რედაქტორი
დალი ბაბაშია
ტ.: 599 76-25-98

კორექტორები:
მანანა ფხალაძე
ტ.: 555 29 98 27

დარეჟან კომლაძე
ტ.: 558 17 08 47

ნათო პოლქვაძე
ტ.: 555 28 28 97

ელ. ფ. ო. ს. ტ. ა. :
medpressa@yahoo.com

აქიანება

განსაკუთრებული ფვლილისთვის



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ **ზურაბ ვადაჭკორიას**, უნივერსიტეტთაშორის საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებისთვის განეული განსაკუთრებული წვლილისთვის, ტერნოპოლის (უკრაინა) სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ მიანიჭა **„ტერნოპოლის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორის წოდება“**, გადასცა საპატიო პროფესორის დიპლომი და უნივერსიტეტის მანტია.

პროფესორმა **ზურაბ ვადაჭკორიამ** აღნიშნულ კონფერენციაზე წარმოადგინა მოხსენება – **„კლინიკური უნარ-ჩვევების სწავლება და შეფასება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში“**.

პრეზენტაცია მოიცავდა კლინიკური სწავლებისა და ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) შედეგების ანალიზს სამედიცინო უნივერსიტეტის უნარ-ჩვევების ცენტრში და ოდონტოლოგიის დეპარტამენტში.

აქცია

ქველმოქმედება

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორ **გივი ფვანია**ს სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის სპეციალისტების მონაწილეობით დუშეთში ჩატარდა საქველმოქმედო აქცია, რომლის ფარგლებშიც კლინიკის წამყვანი პროფესორებისა და სპეციალისტების მიერ გაისინჯა რაიონის 130-მდე ბავშვი და მოზარდი.

კონსულტაციები ჩაატარეს თსუ-ის პედიატრიული კლინიკის ბავშვთა ნევროლოგიის მიმართულების ხელმძღვანელმა, პროფესორმა **ნანა გელაძემ**, ბავშვთა სნეულებათა მიმართულების ხელმძღვანელმა, პროფესორმა **მანანა ფვანია**მ, ბავშვთა და მოზარდთა სტომატოლოგიის და სტომატოლოგიური დაავადებების დეპარტამენტის ქირურგიის მიმართულების ხელმძღვანელმა, თსუ-ის რექტორმა, პროფესორმა **ზურაბ ვადაჭკორიამ**, ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის მიმართულების ხელმძღ-

ვანელმა, პროფესორმა **ყარამან ფალავამ**, ბავშვთა ქირურგიული მიმართულების ხელმძღვანელმა, პროფესორმა **რამაზ კუტუბიძემ**, ბავშვთა სნეულებათა მიმართულების ასისტენტ-პროფესორმა **ეკა უბერმა**, აკადემიურმა დოქტორმა მედიცინაში **თემურ ფვანია**მ, ექიმმა ტრავმატოლოგმა **თამაზ გაბუნიამ**, რადიოლოგმა **შალვა ნინჭილაძემ**, ოფთალმოლოგმა **მანანა კიკლაშვილმა**, ბავშვთა ენდოკრინოლოგმა, რეზიდენტმა **მარიამ ფხალაძემ** და **ნინო ჯინიყაშვილმა**, ოტორინო-ლარინგოლოგმა **იოსებ მაჭავარიანმა**, ყბა-სახის ქირურგმა **დავით ჯმუხაძემ**, ბავშვთა ქირურგმა **ნუკრი შალამბერიძემ**, **ალექსანდრე ბერუაშვილმა**.

აქციაზე ასევე იმყოფებოდნენ: თსუ-ის რექტორის მოადგილე **გიორგი აბესაძე**, დუშეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი **ერეკლე ტრიპოლსკი**.



კონფერენცია

„ახალი სიცოცხლე 40 წლის შემდეგ“



ამას წინათ სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასის“ საკონფერენციო დარბაზში გაიმართა კონფერენცია სახელწოდებით: **„ახალი სიცოცხლე 40 წლის შემდეგ“**, რომელიც მიუძღვნა ნ. ყიფშიძის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის, რესპუბლიკური საავადმყოფოს, დაარსებიდან 40 წლისთავს და მის ხვალისდელ დღეს.

კონფერენციისადმი უდიდესი ინტერესის დასტური იყო ქართული სამედიცინო საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენელთა მრავალრიცხოვნება. სხდომა გახსნა და მონაწილეებს მიესალმა კლინიკის გენერალური დირექტორი, პროფესორი **აშთანდილ იმედაძე**. მან ისაუბრა რესპუბლიკური საავადმყოფოს წარსულზე და დამსწრეთ გააცნო მისი განახლებისა და აღორძინების გეგმა-პროექტი – **კლინიკის ახალი სიცოცხლე 40 წლის შემდეგ**, რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა. კონფერენციას ესწრებოდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, ბატონი **დავით სარგაძე**, რომელმაც სამინისტროს მხრიდან კლინიკის ხელმძღვანელობას მხარდაჭერა აღუთქ-

ვა აღნიშნული პროექტის რეალიზების თვალსაზრისით.

მეტად შთაბეჭდილი იყო კონფერენციაზე წარმოდგენილი თემები: **„ბირთვული მედიცინის როლი სამედიცინო დიაგნოსტიკაში“** (ნუგზარ ლიპარტელიანი, ნ. ყიფშიძის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა); **„მინიინვაზიური ქირურგია მიტრალური სარქველის პათოლოგიის დროს“** (მარეკ ბენდარკივიჩი, შვეიცარია); **„დამწრობის ცენტრის ხვალისდელი დღე“** (გუგა ქაშიბაძე, გ. იაშვილის სახელობის თერმული დაზიანების და პლასტიკური ქირურგიის ცენტრი); **„რადიონუკლიდური მედიცინის მნიშვნელობა ონკოლოგიაში“** (გიორგი ძვინიძე, ს. ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის ქუძუსა და ენდოკრინოლოგიური სიმსივნეების ცენტრის დირექტორი).

კონფერენციაზე გადაწყდა, რომ ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკას ძველი სახელწოდება – **„რესპუბლიკური საავადმყოფო“** – დაემატება, რომლის განახლების, რეაბილიტაციის და აღორძინების უპოქა იწყება...

დალი ბაბაშია

კონკურსი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აცხადებს საჯარო კონკურსს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად. საბუთები მიიღება 2013 წლის 25 ივნისიდან 5 ივლისის ჩათვლით ყოველდღე, კვირის გარდა, 10⁰⁰ სთ-დან 17⁰⁰ სთ-მდე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში (თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ., 33, I სართული, ოთახი № 22).

ინფორმაცია საკონკურსო აკადემიური თანამდებობების, კონკურსის პირობებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ განთავსებულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე - www.tsmu.edu

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საკონკურსო აკადემიური თანამდებობები

მედიცინის ფაკულტეტი

- 1. მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტი**
ასოცირებული პროფესორი - 1
- 2. ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის დეპარტამენტი**
2.1. ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის მიმართულება
ასისტენტ-პროფესორი - 1
- 3. სამედიცინო ფარმაკოლოგიისა და ფარმაკოთერაპიის დეპარტამენტი**
3.1. ფარმაკოთერაპიის მიმართულება
სრული პროფესორი - 1
ასოცირებული პროფესორი - 1
ასისტენტ-პროფესორი - 1
- 4. ქირურგიის დეპარტამენტი №2**
*4.1. ზოგადი ქირურგიის მიმართულება **
ასისტენტ-პროფესორი - 1
4.2. ნეიროქირურგიის მიმართულება
ასოცირებული პროფესორი - 1
ასისტენტ-პროფესორი - 1
- 5. მეანობისა და გინეკოლოგიის დეპარტამენტი**
ასისტენტ-პროფესორი - 1
- 6. ფსიქიატრიისა და ნარკოლოგიის დეპარტამენტი**
6.1. ნარკოლოგიის მიმართულება
სრული პროფესორი - 1
- 7. პედიატრიის დეპარტამენტი**
*7.1. ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის მიმართულება **
ასისტენტ-პროფესორი - 1
- 8. თვალის სნეულებათა დეპარტამენტი**
ასოცირებული პროფესორი - 1
- 9. ინფექციურ სნეულებათა დეპარტამენტი**
ასისტენტ-პროფესორი - 1
- 10. ნეირომედიცინის დეპარტამენტი**
10.1. ფსიქოლოგიის მიმართულება
სრული პროფესორი - 1

სტომატოლოგიის ფაკულტეტი

- ოდონტოლოგიის დეპარტამენტი**
*ოპერაციული ოდონტოლოგიისა და კბილთა რესტავრაციის მიმართულება **
ასოცირებული პროფესორი - 1

ფარმაციის ფაკულტეტი

- 1. სამედიცინო ქიმიის დეპარტამენტი**
სრული პროფესორი - 1
ასოცირებული პროფესორი - 1
ასისტენტ-პროფესორი - 3
- 2. ბიოქიმიის დეპარტამენტი**
სრული პროფესორი - 1
ასოცირებული პროფესორი - 1
ასისტენტ-პროფესორი - 4
- 3. ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური**

ქიმიის დეპარტამენტი

- სრული პროფესორი - 1
- ასოცირებული პროფესორი - 2
- ასისტენტ-პროფესორი - 4

4. ფარმაკოგნოზიისა და ბოტანიკის დეპარტამენტი

- 4.1. ფარმაკოგნოზიის მიმართულება*
სრული პროფესორი - 1
ასოცირებული პროფესორი - 1
ასისტენტ-პროფესორი - 1
- 4.2. ბოტანიკის მიმართულება*
სრული პროფესორი - 1
ასოცირებული პროფესორი - 1

5. სოციალური და კლინიკური ფარმაციის დეპარტამენტი

- სრული პროფესორი - 1
- ასოცირებული პროფესორი - 2
- ასისტენტ-პროფესორი - 4
- 6. ფარმაცევტული ტექნოლოგიის დეპარტამენტი**
სრული პროფესორი - 1
ასოცირებული პროფესორი - 2
ასისტენტ-პროფესორი - 4

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტი

- 1. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დეპარტამენტი**
1.1. ჯანდაცვის მენეჯმენტის, პოლიტიკისა და ეკონომიკის მიმართულება
სრული პროფესორი - 1
ასოცირებული პროფესორი - 1
ასისტენტ-პროფესორი - 2
- 1.2. ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის მიმართულება*
სრული პროფესორი - 1
ასოცირებული პროფესორი - 1
ასისტენტ-პროფესორი - 1

1.3. გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულება

- ასოცირებული პროფესორი - 1
- ასისტენტ-პროფესორი - 1

2. პრევენციული მედიცინის და გარემოს ჯანმრთელობის დეპარტამენტი

- 2.1. ჰიგიენისა და სამედიცინო ეკოლოგიის მიმართულება*
სრული პროფესორი - 1
ასოცირებული პროფესორი - 2
- 2.2. ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიმართულება*
ასოცირებული პროფესორი - 1
- 2.3. გარემოს ჯანმრთელობისა და პროფესიული მედიცინის მიმართულება*
სრული პროფესორი - 1
ასოცირებული პროფესორი - 2
- 2.4. კვებისა და ასაკობრივი მედიცინის მიმართულება*
ასოცირებული პროფესორი - 1
ასისტენტ-პროფესორი - 1

ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტი

- 1. ფიზიკისა და ბიოფიზიკის დეპარტამენტი**
სრული პროფესორი - 1
ასოცირებული პროფესორი - 1
- 2. ფიზიოლოგიის დეპარტამენტი**
სრული პროფესორი - 1
ასოცირებული პროფესორი - 1
ასისტენტ-პროფესორი - 3
- 3. სამედიცინო ბიოლოგიისა და პარაზიტოლოგიის დეპარტამენტი**
ასოცირებული პროფესორი - 1
- 4. ინფორმატიკის, მათემატიკისა და ბიომექანიკის დეპარტამენტი**
სრული პროფესორი - 1
ასოცირებული პროფესორი - 1
- 5. კლინიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტი**
5.1. სამედიცინო რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის მიმართულება
სრული პროფესორი - 1
ასოცირებული პროფესორი - 1
ასისტენტ-პროფესორი - 2
- 5.2. ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის მიმართულება*
სრული პროფესორი - 1
ასისტენტ-პროფესორი - 2
- 5.3. ზოგადი თერაპიის მიმართულება*
სრული პროფესორი - 1
ასოცირებული პროფესორი - 1
ასისტენტ-პროფესორი - 1
- 5.4. ლაბორატორიული საქმის მიმართულება*
სრული პროფესორი - 1
- 6. რეაბილიტაციურ მეცნიერებათა დეპარტამენტი**
6.1. კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის მიმართულება
სრული პროფესორი - 1
ასისტენტ-პროფესორი - 1
- 6.2. სამკურნალო ტურიზმის მიმართულება*
სრული პროფესორი - 1
- 6.3. კერძო დინამიკური მორფოლოგიის მიმართულება*
ასისტენტ-პროფესორი - 1
- 6.4. ფიზიკური დატვირთვის ფიზიოლოგიისა და ბიოქიმიის მიმართულება*
ასოცირებული პროფესორი - 1

სიმბოლოთი * აღნიშნულ მიმართულებებზე კონკურსანტის მიერ კლინიკური, სარეაბილიტაციო ან კლინიკურ-სადიაგნოსტიკო ბაზის შემოთავაზება თსსუ-ში აკადემიურ პროცესში ჩართვისათვის არ მიიღება.

წარმოშობა 12 წელი

კლუბი „მეგ“ – „მოგავალი ეკუთვნის ბენეზიკას“



ხალაძე.
წელს კლუბის მუშაობას და კონფერენციის ორგანიზებას...

ად შეესაბამება დეპარტამენტის მიმართულებას და ვთვლით, რომ კონფერენციაზე წარმოდგენილი თემატიკა გამოიწვევს დამსწრე საზოგადოების აქტიურ დაინტერესებას.

ონ კვლევითი საქმიანობა.
კვლევები ტარდება, როგორც თსსუ-ის და, ასევე, სხვა სამედიცინო მიმართულების ცენტრებში...

განან კლუბის მუშაობას და არ წყვეტენ კონტაქტს მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტთან. 2010 წელს, კლუბის ეგიდით, ჩატარდა მისი ყოფილი პრეზიდენტის, გერმანიაში მოღვაწე ნარმატეზული ექიმის, რეზო ჯორბენაძის, ლექცია თემაზე: „მიოკარდიტის ეტიოპათოგენეზურ-კლინიკური ასპექტები და გულის უკმარისობის მკურნალობის თანამედროვე პრინციპები“.

თითქმის 20 წელია, რაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტი ყოველწლიურად ატარებს სტუდენტურ სამეცნიერო-კვლევით კონფერენციებს.

1994-1999 წლებში დეპარტამენტის ბაზაზე ფუნქციონებდა სტუდენტთა სამეცნიერო წრე, ხოლო 2001 წლიდან ჩამოყალიბდა დეპარტამენტთან არსებული კლუბი „მეგ“ (მოგავალი ეკუთვნის ბენეზიკას), რომელიც გაერთიანებული არიან უნივერსიტეტის თითქმის ყველა ფაკულტეტისა და კურსის წარმომადგენელი სტუდენტები. ისინი მთელი წლის განმავლობაში აქტიურად იკრიბებიან კლუბში, აკეთებენ მოხსენებებს სხვადასხვა თემაზე, წარმოადგენენ და განიხილავენ მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის აქტუალურ საკითხებს, კამათობენ და მსჯელობენ გენეტიკის ეთიკურ პრობლემებზე. კლუბის წევრების ნაწილი, ჩართულია კვლევით საქმიანობაში. წლის განმავლობაში სტუდენტების მუშაობას კოორდინაციას უწევს დეპარტამენტის პედაგოგები და უფროსკურსელი სტუდენტები, რომლებიც უზიარებენ რა საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას თავიანთ უმცროს კოლეგებს, როგორც მეცნიერული თემატიკის დამუშავებაში, ასევე, საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტაში. ეს კი, თავის მხრივ, განაპირობებს სხვადასხვა კურსის სტუდენტების ერთმანეთთან ინტერაქციას და მათ შორის ჯანსაღი კოლეგიალური ურთიერთობების ჩამოყალიბებას. დეპარტამენტში სტუდენტებთან სამუშაო ურთიერთობის ასეთი ფორმა წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა.

კონფერენცია ერთგვარი შემაჯამებელი ანგარიშია იმ მუშაობისა, რომელიც კლუბის წევრები, კოორდინატორების დახმარებით, მთელი სასწავლო წლის მანძილზე ახორციელებენ.

აღსანიშნავია, რომ კლუბის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ხელმძღვანელი იყო მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის ასოციაციის პრეზიდენტი, ან გარდაცვლილი ვიოლა ბერიშვილი, სწორედ წლებიანდელი კონფერენცია ეძღვნება ქალბატონ ვიოლა ბერიშვილის ნათელ ხსოვნას.

სამეცნიერო და ექსპერიმენტულ საქმიანობას ხელმძღვანელობენ დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი და მოწვეული პედაგოგები, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორები: მ. ჭიპაშვილი, ნ. ფირცხელანი, ნ. ყორჩაშვილი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორები: ც. გიგინეიშვილი, ე. იმნაძე, მ. გუგუშვილი, ნ. სიგუა, ე. კვარაცხელია. პედაგოგები: ფ. ფახურიძე, მ. რუხაძე, ლ. მარგველაშვილი, ქ. ქართველიძე, ნ. მანჯაფარაშვილი, ბ. ფარც-



ლმძღვანელი, სრული პროფესორი ელენე აზნაიანიძე.

წლებიანდელი კონფერენციის თემა ეძღვნება „იშვიათ დაავადებებს“ („Rare Diseases“). როგორც ცნობილია, იშვიათი დაავადება, რომლის სისხირიც პოპულაციაში არის ერთი შემთხვევა ყოველ ორი ათას ან მეტ ახალშობილზე. საინტერესოა ის ფაქტი, რომ იშვიათი დაავადებების 80% განპირობებულია გენეტიკური ფაქტორებით და ასეთი პაციენტების 30% იღუპება 5 წლის ასაკამდე. დღეისთვის რეგისტრირებულია 7000-მდე იშვიათი დაავადება, რომლებიც ხასიათდება მრავალფეროვანი კლინიკური გამოვლინებით და, შესაბამისად, საჭიროებს მულტიდისციპლინურ მიდგომას. ზემოთ აღნიშნული დაავადებების შესახებ, მათი იშვიათი გავრცელების გამო, მომავალ ექიმებს არასაკმარისი ცოდნა აქვთ და ამიტომ ხშირად ვერ ხერხდება კლინიკური დიაგნოზის დასმა, შესაბამისად, დაავადების მართვა და მკურნალობა. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ იშვიათი დაავადებების შესწავლა და მართვა თავის ერთ-ერთ პრიორიტეტად გამოაცხადა. დღესდღეობით ტარდება მრავალი სამეცნიერო-კლინიკური კვლევა და იქმნება ე. წ. ობოლი ნაწილები („Orphan drugs“), რომლებიც მოწოდებულია ამ დაავადებების სამკურნალოდ.

ეს თემატიკა ძალიან აქტუალური და უაღრესად მნიშვნელოვანია, როგორც მომავალი ექიმების პროფესიული ზრდისთვის, ასევე, სხვადასხვა პროფილის ექიმების ცოდნის სრულყოფისთვის. მიგვაჩნია, რომ იშვიათი დაავადებების თემა სრული-

ნება პოსტგრადუის სახით, რომლებიც დაინიშნებიან და შემდგომ, ყოფილი და მოწვეული სტუმრების კონტისერის მეშვეობით, გამოვლინდება სამი საუკეთესო ნამუშევარი. პოსტგრადუის შესასრულებელ როგორც ქართული, ისე, ინგლისურენოვანი სექტორის სტუდენტები, რომლებიც წელს გამოირჩევიან განსაკუთრებული აქტივობით.

აგრეთვე, ტრადიციულად, გაიმართება დებატები სხვადასხვა გენეტიკური დაავადების კლინიკურ შემთხვევებზე, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს, გამოავლინონ თავიანთი ცოდნა მოცემული საკითხის ირგვლივ და არგუმენტირებული მსჯელობით დაასაბუთონ თავიანთი მოსაზრება. დებატებში მონაწილეობას მიიღებენ თსსუ-ის სტუდენტების რამდენიმე გუნდი და, აგრეთვე, სამედიცინო სკოლა „აიეტის“ სტუდენტები. დებატების მიმდინარეობას შეაფასებენ ყოფილი მოწვეული წევრები და გამოვლინდება საუკეთესო გუნდი.

უნდა აღინიშნოს, რომ წელს, მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის ხელშეწყობით, სტუდენტებს აქვთ საშუალება ჩაერთონ ექსპერიმენტულ კვლევებში. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ სტუდენტებისთვის ძალიან მიმზიდველი აღმოჩნდა სამეცნიერო მუშაობა. ისინი დიდი მონდობით და ინტერესით იღებენ მონაწილეობას ექსპერიმენტების ჩატარებაში და ეუფლებიან ლაბორატორიულ უნარ-ჩვევებს, შემდეგ კი მიღებულ შედეგებს ამუშავებენ და აანალიზებენ. სურვილის მიხედვით, მათ ექნებათ შესაძლებლობა მომავალში გააგრძე-

სამედიცინო გენეტიკის და დიაგნოსტიკის განყოფილება; სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო; პედაგოგის ინსტიტუტი, ალერგიისა და რევმატოლოგიის ცენტრი; ივ. პეიტი-სტეფანის ექსპერიმენტული ბიომედიცინის სამეცნიერო ცენტრი.

კონფერენციაში მონაწილე ყველა სტუდენტს გადაეცემა შესაბამისი სერტიფიკატი და სამაგისტრო მისიური კლუბის წარწერით.

ვფიქრობთ, კლუბის სამეცნიერო მუშაობის და კონფერენციის ამგვარი ფორმატი ინოვაციური, საინტერესო და ორიგინალურია და უკეთ დაეხმარება სტუდენტებს როგორც ცოდნის გაღრმავებაში, ასევე სამეცნიერო და კოგნიტიური უნარ-ჩვევების გამოუმუშავებასა და ფართო საზოგადოების წინაშე თავიანთი ნამუშევრის წარდგენაში. კონფერენციის ასეთი ფორმა პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების კარგი ნიმუშია და, ვთვლით, რომ კონფერენციაზე მიღებული გამოცდილება სტუდენტებს დაეხმარებათ მომავალ სამეცნიერო და საქმიანობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო კლუბ „მეგ“-ის წევრები პატივს მიაგებენ წინა თაობას. 2010 წელს, მათი ინიციატივით, გაიმართა კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის თანამშრომლების, სამედიცინო გენეტიკაში მოღვაწე ცნობილი მეცნიერების: დილი დონიის და ექვტორ მოროშკინის ხსოვნას.

სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ კლუბის ყოფილი წევრები დღესაც გულშემატკვრებენ და მხარში უდ-

სსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის თანადგომით, ჩატარდა არაერთი საქველმოქმედო აქცია განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვებისთვის. 2009 წელს, საქველმოქმედო აქციის ფარგლებში, გაიმართა კონცერტი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და ამ ბავშვების მონაწილეობით, მათი საზოგადოებასთან ინტეგრაციის მიზნით; ხოლო 2011 წელს, სკოლა „British Connection“-ის მოსწავლეებმა მათთვის წარმოადგინეს ე.წ. უბებური ცნობილი მიუზიკლი „კატები“ (CATS). კონცერტის შემდეგ მოწვეულ ბავშვებს გადაეცათ საჩუქრები. აგრეთვე, მოწვეუ განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვების და თსსუ-ის სტუდენტების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, შემოსული თანხა მილიანად გადაერიცხა 202-ე უსინათლო ბავშვთა საჯარო სკოლას და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ორგანიზაციას – „პირველი ნაბიჯი“.

ლონისძიებს წლების განმავლობაში კოორდინირებს უწევს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები: ქეთი კანკავა, თამარ კვარაცხელია, ირაკლი ხაბიშვილი, ვიკა სორდია, ავთო ცუციტიანი, არჩილ შერვაშიძე, თამარ ქვარაცხავა, ანა სუხიაშვილი, ალექსანდრე დვალაშვილი, ანა დვალაშვილი, ზურა გიორგაძე, გიორგი მურადაშვილი, ანრი ბაზაოვი, რეზო ლაშქარაშვილი, ნინო ბენდელიანი და სხვები. აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ასევე მედიცინის და სტომატოლოგიის ფაკულტეტების სტუდენტები.

კლუბის მიზანია, გამოავლინოს და ხელი შეუწყოს ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდებს.

მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის თანამშრომლები და მასთან არსებული კლუბი „მეგ“-ის წევრები მადლობას უხდებიან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას და სტუდენტურ თვითმმართველობას განეული დახმარებისა და თანადგომისთვის. აგრეთვე, მადლობას უხდებიან ბ-ნ გონა გელაშვილს კომპიუტერული და ტექნიკური უზრუნველყოფისთვის.

- ელენე აზნაიანიძე, თსსუ-ის მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი; თინათინ ტყემალაძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი; მარიკა სულაშვილი, პედაგოგი.

EMSA-ს სამიტზე



დგილზე, პროფესორი რიმა ბერიაშვილი; ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის“ პრეზიდენტი, ბორის მანევი; საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ახალგაზრ-

დობის საქმეთა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ვახტანგ ასანიძე; საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებ-

ში ევროინტეგრაციის საკითხთა კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსი, არჩილ ყარაულაშვილი და EMSA-ს ევროპასთან ინტეგრაციის მიმართულების ხელმძღვანელი, ანა ჩეკურიშვილი.

სამიტის განმავლობაში თსსუ-ის სტუდენტებისა და ახალგაზრდა მედიკოსებისთვის ლექციები წაიკითხეს „ევროპის დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ცენტრის“ ექსპერტმა, დომენიკ მონემ და თსსუ-ის კლინიკური ანატომიის მიმართულების ხელმძღვანელმა, პროფესორმა ზურაბ კაკაბაძემ.

სამიტზე განიხილეს ევროპის მედიკოს სტუდენტთათვის მომდევნო 5 წლის სამოქმედო გეგმა.

EMSA-ს პრეზიდენტის, ბორის მანევის და ევროპული ბორდის წარმომადგენლების თქმით, აღნიშნული სამიტი განსაკუთრებით წარმატებული და გამორჩეული იყო EMSA-ს არსებობის 23-წლიან ისტორიაში.

სამიტის მონაწილეებისთვის ჩატარდა სხვადასხვა კულტურული ღონისძიება.

ახლახან, საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებული „ევროპული დღეების“ პარალელურად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში საზეიმოდ გაიხსნა „ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის (EMSA)“ და „ნაციონალურ კოორდინატორთა და ენთუზიასტთა“ (NCM) ყოველწლიური სამიტი 30-მდე ევროპული ქვეყნის ახალგაზრდა მედიკოსთა მონაწილეობით.

ლონისძიებს, ჩვენს უნივერსიტეტთან ერთად, ოფიციალურად მასპინძლობდა: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასევე, სამიტის პარტნიორი – საქართველოს სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო და „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი“.

სამიტის ოფიციალური გახსნის ცერემონიაზე მისასალმებელი სიტყვებით წარდგინეს: თსსუ-ის რექტორის მოა-

რადიაციული უსაფრთხოების პრობლემები, განვითარება და პერსპექტივები

დავით ნადარეიშვილი,

ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის დირექტორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი



რადიოაქტივობა და მისი თანმხლები მაიონიზირებელი გამოსხივება დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა, კოსმოსში კი – თვით დედამიწის წარმოშობამდე. ჩვენ ვცხოვრობთ ბუნებრივად რადიოაქტიურ გარემოში და მისი შემადგენელი ნაწილი ვართ. ბუნებრივი რადიონუკლიდები ადამიანის ძვლებშია, ჩვენი კუნთები შეიცავენ რადიოაქტიურ ნახშირბადს და კალიუმს, ჩვენს ფილტვებში კი ატმოსფეროდან ხვდება რადიოაქტიური ნივთიერებები. ჩვენზე ზემოქმედებს კოსმოსური გამოსხივება და დედამიწის ბუნებრივი რადიაციული ფონი. ყოველდღიურად გვასხივებს ორგანიზმში საკვებთან და წყალთან ერთად მოხვედრილი ბუნებრივი და ხელოვნური რადიოაქტიური ნივთიერებები.

მას შემდეგ, რაც აღმოჩენილი იქნა ბუნებრივი რადიოაქტიურობა და მიღებულია ხელოვნური რადიოაქტიური მასალები, ისინი სულ უფრო ფართოდ გამოიყენება ხანის და საზოგადოების საკუთარდღიოდ მრავალ დარგში, პირველ რიგში, ენერგეტიკაში, მედიცინასა და მრეწველობაში. რადიაციის გამოყენება მედიცინაში, პრაქტიკულად, აღმოჩენისთანავე დაიწყო, რადიაციული მედიცინისა და რადიობიოლოგიის ისტორია უკავშირდება 1895 წ. რენტგენის მიერ (W. K. Röntgen) X-გამოსხივების და 1896 წ. ბეკერელის (A. H. Becquerel) მიერ – ბუნებრივი რადიოაქტივობის აღმოჩენას. მე-20 საუკუნის პირველ ათწლეულებში სამედიცინო პრაქტიკაში შემოდის რენტგენოდიაგნოსტიკა და სიმსივნეების რენტგენოთერაპია. ასევე, კონტაქტური სხივური თერაპიის მიზნით გამოიყენებოდა რადიუმის გამა გამოსხივება (ქიმიური თერაპია). ამ ავე დროს ჩაეყარა საფუძველი მაიონიზირებელი გამოსხივების ბიოლოგიური ზემოქმედების შესწავლას და შეიქმნა პირველი სახელმძღვანელოები რადიაციულ მედიცინასა და რადიობიოლოგიაში. რადიაციული მედიცინის აქტიური განვითარება დაიწყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ატომური იარაღის და ატომური მრეწველობის შექმნის შედეგად, რამაც უზრუნველყო დიდი რაოდენობით რადიოაქტიური იზოტოპების მიღება. ასევე, დამაჩქარებლების მშენებლობის განვითარებამ სხვადასხვა სახის მაიონიზირებელი გამოსხივების გენერაციის საშუალება მოგვცა. ხელოვნური რადიონუკლიდების ფართო სპექტრი გამოიყენებულ იქნა ევრეთ ნოდებულ რადიოფარმაცევტული პრეპარატების შექმნისას, რომლებიც გამოიყენებიან რადიონუკლიდურ დიაგნოსტიკაში. ხელოვნური რადიონუკლიდების (პირველ რიგში ⁶⁰Co და ¹³⁷Cs) და სამედიცინო დამაჩქარებლების ფართო გამოყენებამ გამოიწვია ონკოლოგიური ავადმყოფების სხივ-

ური თერაპიის საშუალებების X-სხივებითა და რადიონუკლიდული ჩანაცვლებით. რენტგენოდიგნოსტიკაში აღმოჩენილი იქნა კონტრასტირების ახალი მეთოდები (ანგიოგრაფია, ლიმფოგრაფია) ორგანოების და ქსოვილების შრიული გამოსახულებები (კომპიუტერული ტომოგრაფია) და ასევე, სამკურნალო პრეპარატების მიზანმიმართული შეყვანა პათოლოგიურ კერაში (დიაპედევიკა, ენდოვასკულარული ქირურგია). მაიონიზირებელ გამოსხივებასთან ერთად, ბოლო წლებში სულ უფრო ფართოდ გამოიყენება არამაიონიზირებელი გამოსხივება. ქსოვილებსა და ორგანოებში სხვადასხვა დარღვევის ვიზუალიზაციისთვის ფართოდ გამოიყენება ულტრაბგერა. მაგნიტური რეზონანსის მეშვეობით მიღებულია ადამიანის ორგანოების და ქსოვილების ტომოგრაფიული სურათი. შეიქმნა ლოკალური, რეგიონული და საერთო ჰიპერთერმიის აპარატე-

ვნელობა გააჩნია. ამ გარემოებას უკავშირდება რადიოლოგიურ გამოკვლევებთან ნილის მკვეთრი მატება საერთო სამედიცინო-დიაგნოსტიკურ პროცედურებში, რაც ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში აშშ-ში 20 - ჯერ გაიზარდა და 62 მილიონს მიაღწია, მათ შორის ბავშვებში – 4 მილიონს, ბრიტანეთში –12-ს, იაპონიაში – 50-ჯერ მეტს. გაერთიანებული ერების ატომური რადიაციის ეფექტების სამეცნიერო კომიტეტის მონაცემებით ამჟამად მსოფლიოში ყოველწლიურად დაახლოებით 3,6 მილიარდი რადიოლოგიური დიაგნოსტიკური პროცედურა ტარდება და ეს ტრენდი ზრდადია. შესაბამისად, გაიზარდა დოზური დატვირთვები. აღსანიშნავია, რომ დოზურ დატვირთვებთან ძირითადი წილი ინდუსტრიულ ქვეყნებზე მოდის, სადაც ერთ სულ მოსახლეზე კტ-ების რაოდენობა ყველაზე მაღალია. მაგალითად, შეერთებულ შტატებში ერთ სულ მოსახლეზე საერთო წლიური დოზური დატვირთვა 1987 - 2006 წლებში 3.6 მზვ - დან 6.2 მზვ-მდე გაიზარდა. ამასთანავე, თუ ბუნე-

ბის მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგები, მსოფლიოს 14 ქვეყანაში კომპიუტერულ ტომოგრაფიასთან ასოცირებული ონკოავადობის შესახებ. ნაჩვენებია იქნა, რომ საშუალო წლიურ დოზურ დატვირთვებთან შესაბამისი ონკოავადობა ბრიტანეთში საერთო ონკოავადობის 0.6%-ის ტოლია (341 დამატებითი შემთხვევა წელიწადში), აშშ-ში 0,9% (2570 დამატებითი შემთხვევა წელიწადში), ხოლო იაპონიაში, სადაც ერთ სულ მოსახლეზე ტომოგრაფიის რაოდენობა ყველაზე მაღალია – 3,5%, რაოდენობრივად 3700 დამატებითი შემთხვევა წელიწადში. ანუ ერთეულ გამოკვლევასთან ასოცირებული კანცერის რისკის უმნიშვნელო მატება, გამოკვლევება მაღალი სისხირის გამო, პოპულაციურ დონეზე ონკოავადობის მნიშვნელოვან მატებაში აისახება. აქ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დასხივების რეალური დოზები საშუალო პოპულაციურ ბევრად მაღალია, აშშ-ს, გადაუდებელი რადიოლოგიის ასოციაციის გამოკვლევების მიხედვით დოზურმა დატვირთვებმა

დიაგნოსტიკის მასიური, უკონტროლო გამოყენება, შესაბამისად, მწვავედ დადგა სამედიცინო ექსპოზიციაში დოზების რედუქციის პრობლემა, დოზებისა და რისკების მართვის ოპტიმალური გზების ძიების საკითხი.

სამედიცინო ექსპოზიციაში პოპულაციური დოზური დატვირთვების რედუქციის ორი გზა არსებობს:


1. რადიოლოგიურ პროცედურათა რაოდენობრივი შეზღუდვა – მისი გამოყენება მხოლოდ აუცილებელ შემთხვევებში, როდესაც დიაგნოსტიკური „სარგებელი“ მნიშვნელოვნად აღემატება მასთან დაკავშირებულ ჯანმრთელობის „რისკს“. რადიაციულ უსაფრთხოებაში ეს პრინციპი ცნობილია „დასაბუთების“ პრინციპის სახელწოდებით.

2. „დასაბუთებულ“ პროცედურებში კლინიკური მიზნის მიღწევისთვის მინიმალურად საკმარისი დოზების გამოყენება („ოპტიმიზაციის“ პრინციპი).

რადიოლოგიური პროცედურის დიაგნოსტიკური „სარგებელი“ შეფასება „პრაქტიკოსი“ რადიოლოგის უშუალო კომპეტენციაა. რაც შეეხება პროცედურათა „ოპტიმიზაციას“, იგი მრავალეტაპიანი ამოცანაა და მოითხოვს გადამწყვეტებს, როგორც სამედიცინო „პრაქტიკოსი“, ასევე კლინიკური მენეჯმენტისა და მთლიანად, ჯანდაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე. ამ პოზიციებიდან სამედიცინო რადიოლოგიაში დოზათა რედუქციის გზები მნიშვნელოვანწილად უკავშირდება „სამედიცინო სერვისის“ ხარისხის ამაღლების პრობლემას, რაც ჯანდაცვის ეროვნული სისტემების კომპეტენციაა და მოითხოვს სამედიცინო რადიოლოგიაში „სერვისის ხარისხის“ შეფასების, მისი უზრუნველყოფისა და რეგულირების თვისობრივად ახალი მიდგომების დამუშავებას, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო მარეგულირებელთან კოორდინაციის თვისობრივად ახალ დონეს, ამიტომ არ შეიძლება არ შევხებით იმ ფუნდამენტურ ძვრებს, რომელიც მიმდინარეობს რადიაციული უსაფრთხოების სფეროში საერთაშორისო დონეზე, რომელთაც ინიცირება გაუკეთა რადიოლოგიური დაცვის საერთაშორისო კომისიის 2007 წლის რეკომენდაციებმა და დაკავშირებულია მაიონიზირებელი რადიაციის ბიოლოგიური ეფექტებსა და რისკებზე წარმოდგენის შემდგომ გაღრმავებასთან.

შეიცვალა ჯანმრთელობის რადიაციული „რისკის“ შეფასების მეთოდოლოგია, გაიზარდა მოთხოვნები მისი შეფასების სიზუსტეზე. პოტენციური და რეალური რადიაციული რისკების ოპტიმალური მართვის ამოცანებმა მოითხოვა მარეგულირებელი კონტროლის ინსტრუმენტულ ბაზაში „რისკების ანალიზის“ მეთოდოლოგიურ ბაზისზე დაფუძნებული სამეცნიერო-საექსპერტო კომპონენტის ჩართვა.

„რისკების ანალიზი“ მეცნიერების ახალი, ინტერდისციპლინური დარგია, რომელიც ამჟამად ფართოდ გამოიყენება საფინანსო-ეკონომიურ სფეროში და მსოფლიოს მაღალგანვითარებულ



ბი. არის მცდელობა ამ მიზნებისთვის სხვადასხვა ინტენსივობის მაგნიტური ველის ასევე, მილიმეტრული და სანტიმეტრული დიპაზონის ზემაღალი სიხშირეების გამოყენების. მაიონიზირებელი და სხვა, პოტენციურად საშიში, ელექტრომაგნიტური გამოსხივების სულ უფრო ფართო გამოყენებამ მედიცინაში გამოიწვია კვლევების ისეთი მიმართულებით განვითარება როგორცაა: რადიაციული უსაფრთხოება და სხივური დაცვა მედიცინაში. ვითარდება ტექნოლოგიები, იზრდება ხელმისაწვდომობა და ეს გამოკვლევები ადამიანის დოზურ დატვირთვებში ერთ-ერთ ძირითად ადგილს იკავებს.

კომპიუტერულმა ტომოგრაფიამ, მისი დიაგნოსტიკური ეფექტურობიდან გამომდინარე, გადატრიალება მოახდინა მედიცინაში – პრაქტიკულად, ვიზუალურად გახდა შესაძლებელი მთელი დაავადებთა დიაგნოსტიკა პათოლოგიის განვითარების ადრეულ ეტაპზე, რასაც მკურნალობისთვის გადაწყვეტი მიწი-

ბრივი რადიაციული ფონით განპირობებული დატვირთვა (3 მზვ) პრაქტიკულად არ გაზრდილა, სამედიცინო ექსპოზიციასთან დაკავშირებული დოზა 6-ჯერ – 0.53 მზვ-დან 3 მზვ-მდე გაიზარდა. აქედან მხოლოდ კომპიუტერული ტომოგრაფიით განპირობებული ნაზრდი 1.46 მზვ-ა. ვაცილებით უარესი მდგომარეობაა იაპონიაში, რომელიც კტ-ების რაოდენობით ერთ სულ მოსახლეზე 2-ჯერ აღემატება აშშ-ს მაჩვენებელს, აქ კტ-თან ასოცირებული საშუალო-პოპულაციური ეფექტური დოზა 2,4 – მზვ-ია.

რამდენად საზიანოა დასხივების ეს დოზები ადამიანის ჯანმრთელობისთვის?

თანამედროვე შეფასებებით ერთეულ ტიპიურ კტ-გამოკვლევასთან დაკავშირებული კანცერის ინდივიდუალური რისკის მნიშვნელობა დაახლოებით 200-400-ჯერ ნაკლებია კანცერის განვითარების ფონურ რისკზე და შესაბამისად მცირე სიდიდეა. მაგრამ 2004 წელს ჟურნალ „ლანცეტში“ გამოქვეყნდა ბრიტანელი მეცნიერე-

შეიძლება მნიშვნელოვნად გადააჭარბოს 100 მზვ-საც კი, ამას თუ დაუფრთხილები რადიაციის კუმულაციური ეფექტს და 2-5 წლიან ლატენტურ პერიოდს რადიაციულ კანცეროგენეზში, ძნელია ვარაუდების გამოთქმა, როგორ აისახება დღევანდელი დიაგნოსტიკური „მოგება“, ხვალ მოსახლეობის ონკოავადობის დონეზე და რა ტვირთად დაანება იგი ჯანდაცვის სისტემას მომავალში.

ამჟამად დაწყებულია და მიმდინარეობს მასშტაბური რადიოეპიდემიოლოგიური გამოკვლევები აშშ-ში, კანადაში, ისრაელში, რომელთაც უნდა დააზუსტონ სამედიცინო ექსპოზიციასთან დაკავშირებული საფრთხის რეალური მასშტაბები. პირველადი შედეგების მიხედვით, უკვე გამოვლენილია 2-3 – ჯერადი მატება ლეიკოზებსა და თავის ტვინის სიმსივნეებში.

როგორც ზემოთ თქმულიდან იკვეთება, საფრთხე რეალურია და მის წყაროს წარმოადგენს არაერთეული კტ-გამოკვლევა, არამედ მაღალი დოზების სხივური

მე-4 გვერდიან

ქვეყნებში უკვე ინტენსიურად ინერგება, როგორც ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის სისტემებში მართვის გადაწყვეტილება...

მედიცინაში რადიაციული უსაფრთხოების თანამედროვე მიდგომების დანერგვის მიზნით, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ 2008 წელს საფუძველი ჩაუყარა ახალ ინიციატივას „Global Initiative on Radiation Safety in Health care Settings“.

აღნიშნული ინიციატივა კომპლემენტარულია ატომური ენერჯის საერთაშორისო კომისიის (IAEA) მიერ შემუშავებული სტრატეგიისა და მის მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო საექსპერტო და მარეგულირებელი ორგანიზაციების, ჯანდაცვის ნაციონალური სისტემების, სამედიცინო-საექსპერტო და პროფესიულ ორგანიზაციათა ძალისხმევით კოორდინაცია, რათა შემუშავებული იქნას სამედიცინო რადიოლოგიაში „სამედიცინო სერვისის ხარისხის“ მართვის ეფექტური მეთოდოლოგია.

მის სტრატეგიას წარმოადგენს სამედიცინო დასხივების სპეციფიკაზე ორიენტირებული „რისკების შეფასების“, „რისკების მენეჯმენტისა“ და „რისკების კომუნიკაციის“ მეთოდების განვითარება, ხელშეწყობა მათ დანერგვაში.

იგი მოიცავს:

1) „რისკის შეფასების“ მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული კლინიკურ პრაქტიკაზე ორიენტირებული „დასაბუთებისა“ და „ოპტიმიზაციის“ მეთოდების განვითარებას „პრაქტიკოსი“ რადიოლოგისთვის;

2) „რისკების მენეჯმენტის“ მეთოდოლოგიის ადაპტირებას „სამედიცინო სერვისის“ კონტროლის მიზნებისთვის - „კარგი პრაქტიკის“ ინდიკატორებისა და კრიტერიუმების შემუშავება, „კარგი პრაქტიკის“ უზრუნველყოფის პროგრამებისა და მისი რეალიზაციის „აუდიტის“ მეთოდოლოგიის დამუშავება;

3) ცოდნის „პროფესიული უნარებისა“ და კომპეტენციების ახალი საკვალიფიკაციო სტანდარტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების დამუშავება „პრაქტიკოსი“ რადიოლოგისა და მედიცინის „პროფესიონალებისთვის“. აკადემიური განათლებისა და ტრენინგების ნაციონალური ინფრასტრუქტურის მშენებლობაში ხელშეწყობა.

ICRP, IAEA, EurAtom, WHO ერთობლივი ძალისხმევით შედგები განზოგადებული და ფორმალური სტანდარტებისა და ფორმალური სტანდარტების, სადაც უკვე მოთხოვნების დონეზე განხორციელდა სახელმწიფოს, „ლიცენზიანტის“, „პრაქტიკოსი“ რადიოლოგისა და მოსახლეობის რადიაციული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი სხვა ფიგურანტების კომპეტენციები და უფლება-ვალდებულებანი, რეგულირების მექანიზმები და ინსტრუქციები.

რადიაციული უსაფრთხოების სტანდარტებმა ახალი, გაზრდილი მოთხოვნები წაუყენა „პროფესიონალი“ მედიკოსის მომზადების დონეს - მის პროფესიულ უნარებს და საბაზისო ცოდნას, დააყენა „განათლებისა და ტრენინგების“ თანამედროვე ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და ახალი სასწავლო-მეთოდური ბაზის დამუშავების საკითხები.

აქ ნიშანდობლივია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ სწორედ „განათლება და ტრენინგები“ აღიარებულია რადიაციული უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო კომპეტენციის ამაღლების სტრატეგიად, ხოლო „განათლებისა და ტრენინგების“ ერთ-

ობი ინფრასტრუქტურის მშენებლობაში ხელშეწყობა განიხილება მათი მოღვაწეობის ძირითად პრიორიტეტად.

რაც შეეხება ერთიანი სტანდარტის ახალი საკვალიფიკაციო კრიტერიუმებისა და სასწავლო პროგრამების შემუშავებას, იგი რადიოლოგთა და სამედიცინო ფიზიკოსთა საერთაშორისო და ეროვნული პროფესიული გაერთიანებების ძალისხმევით ძირითადი მიმართულებაა. ამჟამად ფინალურ სტადიაშია ევროგაერთიანების მხარდაჭერით მიმდინარე ორი საერთაშორისო პროგრამა;

European Network on Education and Training in Radiological Protection (EUTERP) platform. project ENETRAP. (RPE და RPO მომზადების მეთოდოლოგია)

Project MEDRAPET (Medical Radiation Protection Education and Training) - სპეციალურად სამედიცინო პროფილის „პროფესიონალთა“ მოსამზადებლად

საქართველოში, ახალ საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მიზნით, 2012 წელს ძალაში შევიდა ახალი კანონი „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“. დაწყებულია მედიცინაში რადიაციული უსაფრთხოების ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მშენებლობის პროცესი. მიმდინარეობს „აკადემიური განათლებისა და ტრენინგების“ თანამედროვე სტანდარტების პროგრამების დამუშავება განათლების სისტემის სხვადასხვა დონისთვის.

მიმდინარე რეფორმის წარმატებაზე დამოკიდებული არა მარტო თანამედროვე და მომავალი თაობების დაცულობის ხარისხი რადიაციული საფრთხისგან, არამედ ქვეყანაში სამედიცინო სერვისის ხარისხის ამაღლების ტემპები და, შესაბამისად, განხილული უნდა იქნას როგორც ქვეყნის მდგრადი განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვანი პრიორიტეტი.

აღსანიშნავია, რომ ახალი საბაზისო სტანდარტები მოითხოვს მათ ადაპტირებას კონკრეტული ქვეყნის სპეციფიკასთან (დაავადებათა სპექტრი, პაციენტთა დემოგრაფია, აპარატურის პარკი, სოციალ-ეკონომიური გარემო), მათი ჯანდაცვის, მეცნიერებისა და განათლების, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სისტემების ინფრასტრუქტურის სპეციფიკასა და განვითარების დონის გათვალისწინებას.

2012 წლის ნოემბერში, მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივითა და ცენტრის ორგანიზებით, ჩატარდა სამედიცინო სესია, სადაც განხილული იყო „სამედიცინო ექსპოზიციაში რადიაციული უსაფრთხოების სამედიცინო საკითხები“.

ბოლოს, მინდა აღვნიშნო, რომ მრავალი თანამედროვე ფუტუროლოგის გამოკვლევის მიხედვით, უახლოესი ორმოცდაათი წელი იქნება სამედიცინო ტექნოლოგიების განვითარების პერიოდი. მაღალი ტექნოლოგიები, დიაგნოსტიკური სიზუსტე და მკურნალობის ეფექტურობა მათ გამოკვლევაში მკვეთრად უკავშირდება ზუსტად რადიაციული მედიცინის განვითარებას და სამედიცინო ვიზუალიზაციის საშუალებების გამოყენებას მედიცინის პრაქტიკულად ყველა სფეროში, შესაძლებლობების ხარისხობრივ ზრდასთან ერთად, მის ხელმისაწვდომობის მასშტაბურ ზრდას და, როგორც შედეგი საყოველთაო გამოყენებას, რაც, ასევე, მკვეთრად გაზრდის რადიაციული მედიცინის და სამედიცინო ვიზუალიზაციის საშუალებების უსაფრთხოების აქტიულობის და მკურნალობის პროცესში დიაგნოსტიკების განუყოფელ და მნიშვნელოვან კომპონენტად გამოვლენას. შესაბამისად, უსაფრთხოების ახალი კონცეფცია პრაქტიკულად უკვე რეალიზების ფაზაში შევა და დღევანდელი სტუდენტების შემდგომ პროფესიული მოღვაწეობის ყოველდღიურობად იქცევა.

ქმისკოლოგია

ჩვენ ვიყავით პირველები...

კლინიკური ტოქსიკოლოგია მედიცინის უმნიშვნელოვანესი დარგია, რომლის განვითარების სათავეებთან ჩვენი უნივერსიტეტის კლინიკური ტოქსიკოლოგიის ასისტენტ-პროფესორი, საქართველოს კლინიკურ ტოქსიკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, თსუ-ის ევროპის კლინიკურ ტოქსიკოლოგთა და ტოქსიკოლოგიის ცენტრების ასოციაციის წამდელი ნევილი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერტი-ტოქსიკოლოგი, ბ-ნი თეიმურაზ კომპიძე იდგა, რომელიც ამჟამად კლინიკური ტოქსიკოლოგიის სწავლების მნიშვნელობაზე, იმ ღონისძიებებზე გვესაუბრება, რაც ამ თვალსაზრისით წლების განმავლობაში გატარდა ჩვენს უნივერსიტეტში და, ამასთან, დარგის საღვთისო პირობებზეც ამახვილებს მკითხველის ყურადღებას.

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიამ, სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, ნათლად დაგვანახა საქართველოს იმჟამინდელი ტოქსიკოლოგიური სამსახურის პრაქტიკული უსუსურობაც.

აღსანიშნავია, რომ იმ წლებში კლინიკური ტოქსიკოლოგია ისწავლებოდა მხოლოდ დიპლომის შემდგომ ეტაპზე, იმჟამინდელ ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში.

ჩვენი უნივერსიტეტის (მაშინ - სამედიცინო ინსტიტუტის) სამხედ-

ბულ ავადმყოფთა როდენობა მიოკარდის ინფარქტის დიაგნოზით ჰოსპიტალიზებულთა როდენობას აღემატებოდა (მონაცემებში არ შედის ნარკომანია, ტოქსიკომანია, ქრონიკული ალკოჰოლიზმი).

ცენტრალური სისტემა მოშლილი იყო და ერთადერთ გამოსავლად რჩებოდა სპეციალიზებული ტოქსიკოლოგიური დახმარების მაქსიმალური დაახლოება ავადმყოფებთან.

თსუ-ის იმჟამინდელი რექტორის, ბატონი რამაზ ხეცურაიანის მხარდაჭერით, 1998 წელს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ბაზაზე ჩამოყალიბდა „ტოქსიკოლოგიის ეროვნული საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი“. ცენტრი განთავსდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (უნივერსიტეტი) სამხედრო-სამედიცინო ფაკულტეტის ბაზაზე (უფროსი - სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკი, პროფესორი ზურაბ კაცაძე).

აღნიშნული ცენტრი, პროფილის მიხედვით, ამიერკავკასიაში ერთადერთი, დსთ-ის სივრცეში კი იმჟამად მესამე იყო, აღმა-ათასა და მოსკოვის შემდეგ.

სხვა მრავალ ფუნქციასთან ერთად, ცენტრის დანიშნულება იყო საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებისთვის კონსულტაციის განცევა მწვავე მოწამვლებისა და მათი გართულებების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში, საკომუნიკაციო საშუალებების (ტელეფონი, ფაქსი და კომპიუტერული ტექნიკა) გამოყენ-



პროფესორ ლორე გარეტსონთან ერთად

რო კათედრის უფროსმა, მედიცინის სამსახურის პოლკოვნიკმა, ზურაბ კაცაძემ და ჩვენ მიგმართეთ რექტორს, პროფესორ რამაზ ხეცურაიანს, რათა განეხილა კლინიკური ტოქსიკოლოგიის სწავლების საკითხი დიპლომამდელ ეტაპზე, მესუთე კურსზე.

არ დამავინყებდა მისი შეკითხვა: „სხვა სამედიცინო ინსტიტუტებში რა ვითარება ამ თვალსაზრისით?“ - ვუპასუხე, რომ არსად ისწავლებოდა. - „ჩვენ გვაქვს, როგორც ძალიან კარგი სასწავლო ბაზა ქიმიური ლაბორატორიით სამხედრო კათედრაზე, ასევე აკადემიური საათების საკმარისი როდენობა სამხედრო ტოქსიკოლოგიის საათების შემცირების ხარჯზე“, - დაამატა პოლკოვნიკმა ზურაბ კაცაძემ; - „ესე იგი, ჩვენ ვქინებთ პირველები“, - ბრძანა რექტორმა.

ასე რომ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტმა, დსთ-ის ქვეყნებიდან პირველმა, დაიწყო კლინიკური ტოქსიკოლოგიის სწავლება დიპლომამდელ ეტაპზე, მხოლოდ ჩვენ შემდეგ დაიწყო კლინიკური ტოქსიკოლოგიის სწავლება ჯერ მოსკოვის, შემდეგ კი - იმჟამინდელ დსთ-ის ქვეყნების სამედიცინო ინსტიტუტებში.

საქართველო უკვე მრავალი წელია განივადის ექიმ-ტოქსიკოლოგთა კადრების უმწვავეს დეფიციტს. სსრკ-ის დაშლის შემდეგ სულ 25 ექიმი ტოქსიკოლოგი გვყავდა, რომლებიც დედაქალაქში მუშაობდნენ და, შესაბამისად, ტოქსიკოლოგიური პროფილის ავადმყოფები საქართველოს რეგიონებში სპეციალიზებული დახმარების გარეშე იყვნენ დარჩენილი.

ოფიციალური მონაცემების მიხედვით, მხოლოდ თბილისის საავადმყოფოებში, 1990 წლიდან მწვავე მონამგლის დიაგნოზით ჰოსპიტალიზებულ-

ებთ საქართველოს ქიმიურად საშიში ობიექტების აღწერა, ქიმიური კატასტროფების პროგნოზირება და მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მეთოდური ორგანიზება, ტოქსიკოლოგიური მონაცემების ეროვნული ბაზის შექმნა და სხვა. და, აი, სწორედ ამ საჭირო მომენტში დაგვეხმარნენ ჩვენი უცხოელი მეგობრები - საქართველოს ტოქსიკოლოგიის ეროვნულ საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის პირველი ნაბიჯებს საფუძვლი ჩაეყარა აშშ-ში მცხოვრები ჩვენი თანამემამულის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებულის - ექიმი მიხეილ ხვიტიასა და ქართველი ხალხის უდიდესი მეგობრის, აშშ-ის ჯორჯიის უტასის ქ. ატლანტის ტოქსიკოლოგიის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის დირექტორის, ან გარდაცვლილ, პროფესორ ლორე გარეტსონის, მონდომებითა და დიდი ძალისხმევით.

აღსანიშნავია, რომ ჩვენმა ამერიკელმა მეგობრებმა ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა მთლიანად საკუთარ თავზე აიღეს - შეგვიძინეს და საჩუქრად გადამოგვცეს მსოფლიო ტოქსიკოლოგიური ენციკლოპედიის ძვირადღირებული ელექტრონული ვერსია, რაც რამდენიმე წლის განმავლობაში მთელ დსთ-ის სივრცეში მარტო ჩვენ გავაწინადა, ასევე, - ტოქსიკოლოგიის სხვა უნიკალური პროგრამები, კომპიუტერი, რომლითაც დღესაც ვსარგებლობთ, On-line ფარმაკოლოგიისა და გადაუდებელი დახმარების პროგრამები, სამხედრო ტოქსიკოლოგიისა და პირველი სამედიცინო დახმარების იმიტაციური პროგრამები სხვა.

თავდადება შედეგიც გამოიღო - მიღწეულია მრავალი წარმატება: ცენტრი სამედიცინო უნივერსიტეტის სახელთია შესული ტოქსიკოლო-



ოგიის საინფორმაციო ცენტრების მსოფლიო გლობალიზაციაში: ჩვენ სისტემატურად ვმონაწილეობთ უცხოურ სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში, სემინარებში, ვაქვეყნებთ სამედიცინო სტატიებს, ექიმ-ტოქსიკოლოგთათვის გამოცემულია 5 დამხმარე სახელმძღვანელო, 18 მეთოდური რეკომენდაცია და სხვა. ჯერ კიდევ 2000 წელს შეიქმნა პირველი ქართული ვებ-გვერდი კლინიკურ ტოქსიკოლოგიაში.

ტოქსიკოლოგიის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრმა ჩვენი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა ეკო-ტოქსიკოლოგიის უნიკალური ბიბლიოთეკა - 400-მდე წიგნით, მსოფლიო ტოქსიკოლოგიის ნამყვანი ჟურნალის - „Clinical Toxicology“-ის უნიკალური კოლექცია - 1999 წლიდან დღემდე და სხვა.

და ყველაფერ ამის შემდეგ, სამწუხარო და გულსატკეპნია, რომ კლინიკურ ტოქსიკოლოგიასთან მიმართებაში არცერთი არსებული და ზემოთ მოყვანილი პრიორიტეტი არ არის ასახული სამედიცინო უნივერსიტეტის 80 წლის-სთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში, სადაც, მეტიც, - საერთოდ არაა ნახსენები, ეს საგანი თუ ოდესმე ისწავლებოდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში!

2010 წლიდან ტოქსიკოლოგიის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი შესულია საგანგებო სიტუაციებზე სამედიცინო რეაგირებისა და მართვის სასწავლო ცენტრში, ერთერთი სტრუქტურული ერთეულის სახით.

უნდა ითქვას, რომ ტოქსიკოლოგიური პროფილის ავადმყოფებთან პირველად ზოგადი პრაქტიკის ექიმი ხვდება და მის მიერ ჩატარებული ზუსტი დიაგნოსტიკის და მართებული მკურნალობის შედეგად, მონამგლის პირველსავე წუთებში და საათებში წყდება ავადმყოფის ბედი: გადაარჩება თუ არა იგი, განიკურნება თუ დარჩება ინვალიდად!

სწორედ ამიტომ შემოვიღეთ „ჰოსპიტალმდელი ტოქსიკოლოგიის“ სწავლება, რომელსაც 2010-2011 სასწავლო წლებში გადიოდნენ მედიცინის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტები ჩვენი უნივერსიტეტის საგანგებო სიტუაციებზე სამედიცინო რეაგირებისა და მართვის სასწავლო ცენტრში. ამ საგანს, თავის დროზე, ძალიან დიდი დაინტერესება ჰქონდა სტუდენტებში, განსაკუთრებით კი - სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრში ჩატარებული პრაქტიკული მეცადინეობებისას.

უნდა ითქვას, რომ ამჟამად, აღნიშნულ ცენტრს, საგანგებო სიტუაციებზე სამედიცინო რეაგირებისა და მართვის სასწავლო ცენტრთან ერთად, პრაქტიკულად, შეჩერებული აქვს მუშაობა;

მიგვაჩნია, რომ სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორატის დახმარებით და სულ მცირედი ხელშეწყობითაც კი, არ დაიკარგება უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტული მიმართულებები, კერძოდ, გაფართოვდება კლინიკური ტოქსიკოლოგიის სწავლების არეალი, დროის და მოთხოვნების შესაფერისი ექიმ-სპეციალისტთა ჩამოყალიბებისთვის.

ჩვენი კარგადმოხერხებულები

კომუნიკაბელური, მომხიბლავი, ვერცხლისწყალივით მოძრავი, მიზანდასახული, შეუდრეკელი, ბრძოლისუნარიანი, სიხალისე მამოძრავებელი, უზომოდ შეყვარებული პროფესიაზე და, საერთოდ, ადამიანზე – ასეთია ჩემი თვალთ დანახული მამა გულიშვილი, რომლის შესახებაც მინდა მოგიხსნათ;

მამამ წარჩინებით დაამთავრა ქ. თბილისის 134-ე საშუალო სკოლა. ექიმობაზე მეოცნებე გოგონამ ამ პროფესიისადმი მზადყოფნა ჯერ წარკოლოგიის ეროვნულ ცენტრში გამოსცადა მომვლელის რანგში, რასაც ორი წელი ემსახურა. ასე გამობრძანდებით მიუხედავად სამკურნალო ფაკულტეტზე სტუდენტურ მერხს და აქაც სწავლით თუ საზოგადოებრივი საქმიანობით, რასაც თვალისდაკნაში გარეგნობაც ემატებოდა, გარშემოცოფთა ყურადღება მიიპყრო. მისი სტუდენტობა აღზევებული ეროვნული მოძრაობის წლებს დაემთხვა, ამიტომაც მეტად დაძაბული პერიოდი იყო მამასა და მისი თანატოლებისთვის. „ხშირად ვიკრიბებოდი ეროვნული იდეებით გამსჭვალული ახალგაზრდებს, ვსახავდით სამოქმედო გეგმებს, თუმცა, მიუხედავად ამისა, ერთი ლექციაც არ გაცდენილა და, წამოსაყვედრებელი რომ არ გვექონოდა, ლექციაზე დასწრების მოვალეობას პირნათლად ვასრულებდით“, – მეუბნება მამა.

რესპუბლიკური საავადმყოფო სტუდენტური წლებიდან იქცა მეორე სახლად მისთვის. აქვე იყო გასტროენტეროლოგიური განყოფილების სუბორდინატორი და ექიმი-ინტერნი, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ პროფესიული საქმიანობა ამავე განყოფილებაში გააგრძელა, პარალელურად იყო კონსულტანტი, ტრანსპლანტაციური განყოფილებაში – ექიმი თერაპევტიც, მაგრამ ეს როდი აკმაყოფილებდა პროფესიული სრულყოფისთვის ახალგაზრდა ექიმს – პროფესორი დავით ტვილიძის ხელმძღვანელობით მორიგეობდა მთელ თერაპიულ სტაციონარში (კარდიოლოგიაში, პულმონოლოგიაში).

„პროფესიული საქმიანობის პირველი ნაბიჯები რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადავდგი, ამიტომაც იგი ჩემი საყვარელი კლინიკა და ცოდნის ტაძარია. ამ ნაბიჯების გადადგამაში მეხმარებოდნენ სათაყვანებელი პედაგოგები, დიდი გასტროენტეროლოგები: ბონდო კანდელაკი, ხუტა პაჭკორია, ალექს მატაპარიანი; თვალსაჩინო კარდიოლოგი და მრავალთა გზამკვლევი ღაბია ტვილიძე. ჩემს მესხიერებაში სამუდამოდ აღიბეჭდა უსაყვარლესი პედაგოგი თაიშაშვილი (ფსსო) დიმიტრი ბუღიაძე. ისინი დაუღწევლად, უშურველად, გადაგებულად გადმოგვცემდნენ თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას, რაც განუსაზღვრელი

ლაშქარი ქალბატონი ლაშქარი სულით... „მშვენიერება ნათელია ზეცით მოსული...“



სტიმულის მომცემი იყო ჩვენთვის“, – ასე გამოხატავს მადლიერებას მონათვე მასწავლებლების მიმართ. დაუოკებელი ენერჯის მქონე გოგონა მარტო პროფესიული საქმიანობით როდი დაკმაყოფილდა, მეგობრებთან ერთად ვაკის რაიონში შექმნა უპოვართა ფონდი, სადაც 60 წლის ზემოთ მყოფ ადამიანებს ეხმარებოდნენ გამოკვებაში, სამედიცინო მომსახურებასა და მათთვის სასიცოცხლო პირობების შექმნაში. 2000 წელს მამა იუსტიციის სამინისტროში ექსპერტად მიიწვიეს მთელი ქვეყნის მასშტაბით პენიტენციური სისტემაში სამედიცინო და ეპიდემი-

ოლოგიური მდგომარეობის შესასწავლად. ამ მიმართებით ახალგაზრდა ექიმის ორკვირიანმა მუშაობამ განაპირობა იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის უფროსად დანიშვნა. ეს კი იოლი როდი იყო, მითუმეტეს, როცა არაჩინო გამოცდილება არ ჰქონდა. მისი ამ თანამდებობაზე დანიშვნის გამო ბევრი განწყობა სექსტიურად, როგორც პედაგოგები, ისე კოლეგები, მაგრამ მამას უშიშრობამ და პრობლემისადმი ჩვეულება შერკინებამ, უიმედონიცი ოპტიმიზმით აღავსო, გვერდით დაუდგნენ გოგონას და სულ მალე, პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის საკითხებში კვალიფიკაციის ასამაღლებლად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში აღმოჩნდა, საიდანაც დიპლომით დაჯილდოებული დაბრუნდა. და ისევ მისი მშობლიური რესპუბლიკური საავადმყოფო – შინაგანი მედიცინისა და პულმონოლოგიის სექციაში ექიმობა, პარალელურად დედაქალაქის მერიის და საკრებულოს სოციალური და ჯანდაცვის კომიტეტში ექიმ-ექსპერტად საქმიანობა, უდიდესი გარჯა სოციალურად დაუცველ უამრავ ადამიანთა მომსახურების დასაფინანსებლად. მამა ყველგანაა თავისი უშრეტო ენერჯითა და საქმისადმი ოპერატიული, შინაარსიანი წვდომით. მას 2002 წელს რესპუბლიკურ საავადმყოფოში შექმნილ სამედიცინო-სამეცნიერო საბჭოს წევრად მიიწვიეს მისი დაეკისრა, სადაც შედიოდნენ კლინიკისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წამყვანი პროფესორები. 2006 წელს რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან არსებული გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრის აფართოების კარდიოლოგიურ სამსახურს. მაიამის უნივერსიტეტსა და აღნიშნულ ცენტრს შორის ფორმდება ხელშეკრულება – „გულის უკმარისობის მართვა“, რომლის მიზანია მთელი ქვეყნის მასშტაბით, განსაკუთრებით მაღალმთი-

ან და კონფლიქტურ რეგიონებში, 2 წლის განმავლობაში, მაცხოვრებელთა უფასო გამოკვლევა. ამ მეტად მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას, სარისკო პროექტის კოორდინატორობა ისევ მამა ბულენდელის დაევა. როგორც მოსალოდნელი იყო, მოვალეობას დიდი წარმატებითა და შედეგინად გაართვა თავი. მამას საუბარში პროფესიისადმი ღრმა ანაღზი იკვეთება. აქვს უკმაყოფილების განცდაც. მისი სატიკიერი მშობლიური კლინიკაა, რადგან მამას თვალნათლიან მოხდა მისი დანერგვა-გაგამტყვევება, რაც, უწინარესად, ექიმებს, სამედიცინო პერსონალს შეეხო. „ამ ბუმბერაზ კლინიკაში იზრდებოდა სამედიცინო კადრი, კვალიფიკაციური დახმარება ეწეოდა პაციენტებს. აქ მოღვაწეობდნენ სახელმწიფო პროფესორები, ქვეყნის „ნაღები“ ექიმები. დღეს ისინი გაფანტული არიან“, – მეუბნება ჩემი რესპონდენტი ნადეჟდინა თვალთ, თუმცა ნამიერად, რადგან მის ღრმად სახეზე ადვილს ვერ იპყვირებს დარდი და მყისერ ქრება. მამას ხვალისდელი დღის იმედი უცისკროვნებს თვალებს. სჯერა, რომ რესპუბლიკური საავადმყოფო კვლავ აღორძინდება, კვლავ ერთად მოიყრიან თავს კოლეგები, კვლავ აურთამულდება სტუდენტებით მისი დერფენები... მამას დიდ მიღწევად მიაჩნია ექიმების პროფესიული დონის ამაღლება, ევროპულ სტანდარტებთან გათანაბრება. უხარია, რომ უამრავი ქართველი ექიმი გადაშადა და მიიღო უცხოური განათლება, რომელთა რიგებში თვითონაცაა. დიდ მიღწევად მიაჩნია სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომის აღიარება ევროპაში, რაც საშუალებას იძლევა ევროპის წამყვან კლინიკებში კვალიფიკაციის ამაღლებისა. მამას ნაამბობიანია: „წელს დაიწყო ჩემი, რაც ვმოღვაწეობ გერმანიის ქალაქების იზერ-

ლონისა და დორტმუნდის ცენტრალურ საქალაქო საავადმყოფოებში. პირველად საქმიანობამ მომიწია შინაგანი მედიცინის განყოფილებაში, სადაც იყო გაუსაძლისი სამუშაო გრაფიკი და დატვირთვა, რადგან ინტენსივობა ძალიან ბევრი მანიპულაციის და გამოკვლევის ჩატარება ევალება. პარალელურ რეჟიმში, განყოფილების გამგესთან ერთად, ვმორიგობდი. ვთვლი, რომ ყოველივე ეს შემადგენელია რესპუბლიკურ საავადმყოფოში მიღებულმა პრაქტიკულმა გამოცდილებამ და ჩემი პროფესორ-მასწავლებლებისგან შეძენილმა ცოდნამ. შემდგომი ეტაპი კარდიოლოგიური განყოფილება იყო, სადაც 4 თვე დავეყავი, თან ვემზადებოდი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩასაბარებლად, ვმონაწილეობდი სხვადასხვა კონფერენციაში

ჩემი ბოლო პროფესიული ვიზიტი გერიატრიის განყოფილება იყო, რომელიც განსაკუთრებულია და სერიოზულადაა განვითარებული გერმანიაში. ყველა მოხუცებული უზრუნველყოფილია სახელმწიფო დაზღვევით, შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით. ეს იყო ის სიხალე, რაც ვნახე ამ ქვეყანაში. ჩემი სანუკვარი ოცნებაა საქართველოშიც აღორძინდეს ეს დარგი, აქაც ისეთივე ბედნიერი და ლაღი იყოს მოხუცებული, როგორც გერმანიაში. ახლახან დავბრუნდი ჩემს მშობლიურ კლინიკაში, ისევ აქ ვაგრძელებ პროფესიულ საქმიანობას და გამოვყენებ იმ გამოცდილებასაც, რაც მივიღე გერმანიაში. დიდი სიამაყით ვიტყვი, საქართველოში მიღებულმა ცოდნამ და გამოცდილებამ გამზადა გერმანელი კოლეგების ყურადღებისა და შექების ღირსი. აღნიშნავდნენ კიდევ საქართველოში სამედიცინო სფეროს მაღალი დონის შესახებ, რის დასტურებაც ერთ-ერთ კვლევითად ჩემს საქმიანობასაც მიიჩნევდნენ“.

ბოლო წინადადების დაწერის ერთდროულად გამოვტოვო, მაგრამ არ ვემორჩილები ჩემს რესპონდენტს...

პროფესიაზე გადაგებულ ქალბატონს, უპირველესად მაინც დედობა მიაჩნია, რადგან დედაა სიცოცხლის საწყისი, ყოველივე კი სიცოცხლით იწყება ამქვეყნად, სხვა ყველაფერი ზედნაშენია მასზე... უბედურებისა, რომ დედაა, რომ ქალის უპირველესი დანიშნულება მასაც არგუნა დეერთმა, ამიტომაც მადლს სწირავს უფალს ამ ფასდაუდებელი, შეუდარებელი ჯილდოსთვის...

მამას ჰობი მუსიკა და სიმღერა... საოცარია, როგორ თანხვედრაშია მის ნატურასთან ეს ორი რამ... მამა თავადაა მუსიკაც და სიმღერაც... მოდის და მოღვლავს, თითქოს ეწინაშე ზღვის ტალღებს წარწარით, თვალისმომჭრელად მოაპოვს უმშვენიერესი ფერია...

სულ ლამაზად, შეუპოვრად, მონუსხველი ღიმილით და ტკბილსიტყვაობით ახვევე წარმატებები პროფესიულ საქმიანობას თუ პირად ცხოვრებაში, მამა!

დალი ბააკიანი

სყუარუნის ივარსახობისი

აუტიზმი ბანაჩენი არ არის



ლაში, სადაც ვაკვირდობოდი პაციენტთა ქვევებს და ამ დაკვირვებების ფონზე, მინდა შემოგთავაზოთ თემა სათაურით - „აუტიზმი განაჩენი არ არის“ (პაციენტთა ვინაობას, ობიექტური მიზეზების გამო, არ ვასახელებ).

აუტიზმი ტვინის განვითარების ნეიროფსიქოპათოლოგიური დარღვევითაა გამოწვეული, რაც მნიშვნელოვნად აისახება ბავშვთა ვერბალურ და არავერბალურ კომუნიკაციაზე, საზოგადოებასთან ინტერაქციასა და მენტალური განვითარების პროცესებზე. არსებობს აუტიზმის რამდენიმე ფორმა, რომელთაგან ყველაზე მძიმე ის გარემოებაა, როდესაც ბავშვს უჭირს გარემოსთან კონტაქტი, ურთიერთობა თანატოლებთან, არაადეკვატური და გაუთვითცნობიერებული ქცევები, შიში.

ამ ხნის მანძილზე ჩემთვის ყველაზე ძნელი მათთან კონტაქტის დამყარება აღმოჩნდა, რადგან ისინი კომუნიკაციის ენად არ აღიარებენ გამართულ მეტყველებას, გაურბიან ვინმესთან კავშირს და აქვთ არაადეკვატური რეაქციები მოფერებაზე.

ერთ-ერთი პაციენტის ქვევები: პაციენტი, პირობითი სახელით – გიგა: * საუბრობს მესამე პირში;

* თითქმის არასოდეს რეაგირებს მისი სახელის დაძახილზე; * გაურბის მოფერებას; * პაციენტი, პირობითი სახელით – ნინო * არასოდეს ვიყურებს პირდაპირ თვალში; * გუერჩება, როდესაც გინდა ხელში აიყვანო; * გულგრილია აღმზრდელის მიმართ;

რაც ბავშვებთან ყოფნის დროს ყველაზე მეტად მაკვირვებდა, იყო ის, რომ თითოეულ ბავშვს გააჩნდა რაღაც ისეთი ნიჭი, რომელიც ჩვეულებრივ ბავშვებს არ ახასიათებთ. მაგალითად, ხატვა ორივე ხელით, ცხვირით სალამურის დაკვრა, საოცარი სისწრაფით ანგარიში და ა.შ. უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ისინი არაჩინო ყურადღებას არ აქცევდნენ სათამაშოებს, რომლებიც მრავლად იყო მათ გარშემო. მათ ყურადღებას უფრო იპყრობდა მისთვის ელვა-შესაკრავები, ფეხსაცმლის თასები, მაგიდის გადასაფარებლის ბანტები. ისინი ასეთი არაბუნებრივი ქმედებებით ერთობოდნენ.

ზეიმით აღნიშნული ქმედებები მხოლოდ მწვავე ფორმებშია გამოვლენილი. შესაძლოა, რომ აუტიზმით დაავადებულ ბავშვს საერთოდ არ ჰქონდეს რაიმე

ნიშნები ქცევებში, ამიტომაც ბავშვების მშობლებს ძალიან დიდი ყურადღება მართობთ. სწორედ მათ ყურადღებაზეა დამოკიდებული მათი შვილების შემდგომი განვითარება. როგორ უნდა მივხვდეთ, რომ ჩვენი შვილი აუტიზმის რისკის ქვეშ იმყოფება, ამაზე ინფორმაციას გვანვდის კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი კარენ სპირსი, რომელმაც ჩაატარა ექსპერიმენტი და კვლევის საფუძველზე დაადგინა ის ადრეული ნიშნები ბავშვთა განვითარებაში, რომლებიც მიუთითებს, რომ მათ ნეიროპათოლოგიურ განვითარებაში მნიშვნელოვანი შეფერხებისა და სასწრაფოდ საჭიროებს ყურადღების მიქცევას. ექიმი ურჩევს მშობლებს, დროულად ჩაერიონ ბავშვთა მენტალურ განვითარებაში. სპირსის კვლევის მიხედვით, შემდეგი მარტივი კითხვების საშუალებით შესაძლებელია დადგინდეს ბავშვის ფსიქონეიროპათოლოგიური მდგომარეობა, მაგალითად:

* უყურებს თუ არა ბავშვი მშობლებს, როდესაც ის თამაშობს; * უღიმიის მშობლებს? * გულგრილია გარშემოცოფთა მიმართ და სხვ.

თუ ამ და სხვა კითხვებზე ბავშვთა ქცევები არაადეკვატურია, მაშინ საქმე გვაქვს აუტიზმის ნიშნებთან საქმე და

დიდი სიფრთხილეა საჭირო, რადგან აუტიზმი არ იკურნება და მისი დათრგუნვა მხოლოდ სარეაბილიტაციო კურსებითაა შესაძლებელი. ასევე, ყველგან და კარგ შემდეგებს იძლევა პაციენტთა ოჯახების ერთმანეთთან კავშირი და ერთმანეთისადმი ინფორმაციის გაზიარება, რაც უფრო მრავალფეროვანს ხდის ბავშვის ცხოვრებას და ის მძიმე შოკი, რისი მოხდაც შეუძლია აუტიზმს, შედარებით ითრგუნება.

დაბოლოს: აუტიზმის წამალი არ არსებობს და არც რაიმე მისი შემამსუბუქებელი ქიმიური პრეპარატი მოიძებნება; ის არ იკურნება და ამიტომ უნდა გვახსოვდეს, რომ აუტიზმით დაავადებულნიც ჩვენი საზოგადოების წევრები არიან და მათი სიცოცხლიდან გარიყვა დაუშვებელია.

გულახდილი საუბრისა და ინფორმაციის მონოდებისთვის დიდ მადლობას ვუხდით აუტიზმით დაავადებული ერთ-ერთი პაციენტის მშობელს, ლილია ამაშუკელს (სახელი გაუღერებელია მისი სურვილით).

კოკა მობიარაშვილი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი

კომიასიუმურის რეპორაჟი

უსვლელი მემკვიდრე



ცოდნის თეთრი ტაძრის სააქტო დარბაზის ვესტიბიულში ჯერ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ საგამოფენო სტენდებმა მიიპყრო ჩვენი ყურადღება. წარმოუდგენელი ასეთი სიზუსტით, სკრუპულოზურად ვინმე შექმნას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია...

იგი დღემდე გამოდის – „თბილისის უნივერსიტეტის“ სახელით.

ჩვენი თაობა სწორედ „თბილისის უნივერსიტეტის“ საზრდოობდა.

მაშინ შესასვლელ კართან, ხელმარჯვნივ, იყიდებოდა გაზეთი და ლექციების დაწყებამდე, დილით, რიგშიც კი ვმდგარვართ მის შესაძენად... გვიყვარდა...

სწორედ ამ გაზეთის 85-ე წლისთავის საიუბილეო ღონისძიებაზე გახლდით მიწვეული მთელი

ბიანმა დამოკიდებულებამ საუნივერსიტეტო პრესისადმი...

უნდა ითქვას უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის და გაზეთის რედაქციის დიდი შრომის და ძალისხმევის შესახებ გაზეთის იუბილის ღონისძიებად აღნიშვნის თვალსაზრისით.

ამ ღონისძიებისადმი სპეციალურად მიძღვნილმა დოკუმენტურმა კინოკადრებმა ჩვენს თვალწინ გააცოცხლა უნივერსიტეტისთვის დამაშვრალი დიდებული ადამიანები და კიდევ ერთხელ დავარწმუნა, რომ გაზეთი უცვლელი მემკვიდრეა და მისი ისტორია...



გაზეთი 1927 წლის იანვარში დაარსებულა და მისთვის „პროლეტარულ სტუდენტთა ხმა“ დაურქმევიათ. მაშინ ასე ეგებოდა, ასეთი იყო ეპოქა... შემდეგ, 1930 წლის 29 თებერვლიდან, გაზეთს ეწოდება – „საბჭოთა უნივერსიტეტის ხმა“, 1933 წელს იგი „ბოლშევიკური კადრებისათვის“ სახელწოდებით გამოდის.

„ახალგაზრდა სტალინელი“, – ამ სახელს არქმევდნ გაზეთს უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორის, ნიკო კეცხოველის, გადაწყვეტილებით. 1962 წელს კი გაზეთს კვლავ ეცვლება სახელწოდება და

„სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია – უნივერსიტეტის ხელმძღვანელები. აღწერელია ის გრძობა, რაც იქ დავიწყებულა... იმ დღეს ჩვენც ლალი სტუდენტები ვიყავით... სტენდების განსაკუთრებით მიიპყრო კორიფე მეცნიერთა, უნივერსიტეტის სახელოვან პროფესორ-მასწავლებელთა, აქტიურმა თანამშრომლობამ გაზეთთან. უნივერსიტეტის მთელი ისტორია გადაგვიშალა გაცვითლებულმა ფურცლებმა...

საღამო შთამბეჭდავად ჩატარდა... მოგვიხსენებდა რექტორის, ბატონი ალექსანდრე კვიციანიშვილის, აქტიურმა, თბილმა და ყურადღე-

დასასრულ, დამსწრეთ მრავალფეროვანი ფურშეტიტ გვიმასპინძლეს.

დიდი სიყვარულით ვულოცავთ ჩვენს საყვარელ გაზეთს – „თბილისის უნივერსიტეტს“, მის შემოქმედებით კოლექტივს ხანდაზმულობის სახელოვან თარიღს; ვუსურვებთ საუკუნეებს გადარდენოდეს მის გვერდებზე ასახული სტრიქონების ექო და ყოველთვის მიმზიდველი, გულისა და სულის საოხი ყოფილიყოს ყოველი ეპოქის მკითხველისთვის.

„სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია

სონქერესი შეხვედრა

დღევანდლობის სულის სოსად...

თამარობა ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში პროფესორ რევაზ სირაძის სახელობის რუსთაველის კლუბმა არქიმანდრიტ ადამიან (ვახტანგ ახალაქა) შთამბეჭდავი შეხვედრით აღნიშნა.

საქართველოს საპატრიარქოს ჯანდაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის, წმინდა თამარ მეფის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, თბილისის იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის წინამძღვრის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საპატრიარქო დოქტორის, სრული პროფესორის, არქიმანდრიტ ადამ ახალაძის მეცნიერული კვლევის თვალსაწიერი მეთად მრავალფეროვანია, მოიცავს რა მედიცინის თეორიას, ფილოსოფიას და ისტორიას, ბიოეთიკას, სოციალურ და პრევენციულ მედიცინას, ჯანდაცვის მენეჯმენტს, სამედიცინო ფსიქოთერაპიას, ფსიქოპათიკას, რწმენისა და ცოდნის ურთიერთმიმართებას, სამედიცინო განათლების მენეჯმენტს... ავტორია 80-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომისა, 60-ზე მეტი მხატვრული და უპუბლიცისტური ნაწარმოებისა, 5 წიგნისა.

„ჩვენი ისტორიული წარსული, ანწყო და მომავალი. წმიდა დიდი მეფე თამარი“ – გახლდათ მოხსენების თემა, რითაც ავტორმა კიდევ ერთხელ მიიპყრო მსმენელის გულსიყური.

თითქოს „თანამდევ სულად“ ქვეულა მამა ადამისთვის თამარის სახეობა, სწორედ მისით საზრდოობს ამ მრავალწახანგოვანი მოაზროვნის ფართო მსოფლმხედველობა. საღამოზე იგი იტყვის:

„დღეს აქ შეკრებილ ქართველთა ლმა; პოეტებმა: ტარიელ ხარხელაურმა, ოთარ ფალიანმა, თემურ თაყაიძემ, ელგუჯა ლებანიძემ, გულიკო გაბაიძემ, ლალი ხვედელიანმა და სხვებმა თბილი სიტყვები არ დაიშურეს პოეტისა თუ მეგობრისადმი.“

ლექსებს, რომელსაც უნივერსიტეტის სტუმრები კითხულობდნენ, ფონად გასდევდა ქართული მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშები – ქართული ხალხური სიმღერები ბავშვთა ანსამბლ „საგალობლის“ შესრულებით, რომლის ხელმძღვანელიც ანსამბლ „მართვეს“ პირველი თაობის წარმომადგენელი, ქალბატონი მაია მიქაბერიძე გახლავთ. ლექსებმა ამგვარი მუსიკალური „აკომპანიმენტი“ განსაკუთრებული დატვირთვა და ემხი შესძინა საღამოს.

„სვანეთში იტყვიან: პოეზია ღირებული მამინაა, თუ ლექსი ღოცავს მიუახლოვდაო“, – ბრძანა სტუმარმა და შეხვედრის ყველაზე ღამაში წაწილიც სწორედ ამგვარი პოეზიის მოსმენა გახლდათ. ერეკლე საღლიანის პოეზიამ ავტორისეული ნაკითხვით კიდევ ერთხელ დაადასტურა რა დიდი ძალა აქვს ხატოვნად ნათქვამ სიტყვას, მით უფრო, თუ იგი გაუნელებელი ემოციური მუხტითაა მიტანილი მკითხველამდე; თუმცა სხვაგვარად არც შეიძლება: ეს გულწრფელი ემოცია და პირველყოფილი სისადავე ხომ ერეკლე საღლიანის პიროვნული ღირსებებიდან საზრდოობს. შესაბამისად, მისი შემოქმედების მთავარი ხიზლიც სწორედ გულწრფელობა, პირდაპირობა, უკომპრომისობა და სიმართლეა, რისთვისაც იგი ასე ძალიან უყვარს მკითხველს და სრულიად საქართველოს.

გვინდა გვეგროდეს, რომ ეს საღამო კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება ჩვენი სულიერი კულტურის აღორძინებისკენ სავალი გზის გასაადვილებლად... მით უმეტეს, როცა ყოველივე ეს თანხვედრილია მამა ადამის იდეასთან – თამარწმინდის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობასთან, რისი ფრთაშესხმისთვის იგი არას იშურებს...

შეხვედრა დაასრულა მამა ადამიანები და ახალი ლექსები წაიკითხა. გათავაობთ ერთ-ერთ მათგანს:

ორი სხივი – ციდან ჩამოწვილი ხელები შენი – ეფერებიან ჩემს ჰრანჭია დედამიწას. მისი წყლუთი – ზღვების და ოკეანეების შენი სიმაღლიდან ფერია ცის, მოწმენდილის ან მოდრებულის. მიწათ: სად – ბერწი, სად – ასფალტ-ბეტონის უსქედევი ტყავის სამოხლის ქვეშ. მხოლოდ შენი ნაფხურები – ევაილეუთი. და ჰაერი, რომელსაც ეჭებოდი. ტბაც, რომლის ზედაპირზე ნავით და ფეხისეულებით მოსიარულე თვალები, რომელთაც ჩავისტეხს სწოფსადავით... შენი ორი ნაფხური ჩემს გულში. ორი სხივივით.



და იმათაც, ვინც ვერ მოვიდა, დღევანდლობის საწუხარს საქართველოს ბედ-იბლაზე და აღორძინების იმედს, აგერ უკვე რვაასი წელია რომ არ უწედედა ერს, ჩვენს საფიქრალსაც და სამოღვაწეოსაც, ჩვენს ისტორიულ წარსულს, ანწყოსა და მომავალს ერთი იმასთანა დულაბი ჰკრავს და აერთიანებს, რომლის გამოწვლილით შესწავლისა და ანალიზის თვინიერ დაიკარგებოდი ქართველი როგორც ღვაობრივ, ისე ცივილიზაციის დროსა და სივრცეში. ეს დულაბი დიდი თამარ მეფის წმიდა ხატებაა. თამარ მეფე, თამარწმინდა, თამარის დროშა, თამარის სავანე, თამარის სკოლა, თამარის დარბაზი, თამარიონი, თამარიუნი... ვერ გეტყვი, ზუსტად როდის იყო, წმიდა მეფის სახელი და ხატება ასე მძლავრად რომ შემოიჭრა ჩემს ცხოვრებაში. ახლა ჩვენს მონასტერსაც მისი დიდებულ სახელი ჰქვია, უნივერსიტეტსაც და სულიერი და სოციალური განვითარების ფონდაც, 2005 წელს რომ დავაფუძნეთ.“

რეფერენციით გასდევდა ამგვარი ფრაზები ამ ღამაზე საღამოს, გაჯერებულს მაღალსულიერებით და დიდი მეფის ფენომენის დღევანდლობასთან შერწყმა-შეხმანების შესანიშნავი მცდელობით. ღრმადგანათლებულ და მადლცხებულ პიროვნებასთან შეხვედრა-საუბრები ალბათ სულის სარგოდ და სამშვენივლად ექცევა ჩვენს დღევანდლობას და სულიერებას...

„წარსულის, ანწყოსა და მომავლის შერწყმით მიიღება მარადისობა! მარადისობის ადეკვატური აღქმა ადამიანის შესაძლებლობათა ფარგლებს სცილდება. ამიტომაც უფალი გვიგზავნის ხოლმე ადამიანებს მარადიულობის გზის სასწავლებლად, მის შესაცნობად და, გნებავთ, შესაყვარებლად... ასეთი კოსმიური მნიშვნელობისაა ქართველთათვის წმიდა დიდი მეფე თამარი. მისი ხატება წვდება ჩვენს ისტორიულ წარსულსაც, ანწყოსაც, მომავალსაც და მარადისობასაც!“

სიტყვით გამოვიდნენ ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოდივე მირიან ხოსიტაშვილი, რუსთაველის კლუბის სახელით – თამარ ბარისაშვილი, პროფესორი მანანა ტუსკია, პოეტი და საზოგადო მოღვაწე ეზარ კვიციანიშვილი...

გვინდა გვეგროდეს, რომ ეს საღამო კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება ჩვენი სულიერი კულტურის აღორძინებისკენ სავალი გზის გასაადვილებლად... მით უმეტეს, როცა ყოველივე ეს თანხვედრილია მამა ადამის იდეასთან – თამარწმინდის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობასთან, რისი ფრთაშესხმისთვის იგი არას იშურებს...

შეხვედრა დაასრულა მამა ადამიანები და ახალი ლექსები წაიკითხა. გათავაობთ ერთ-ერთ მათგანს:

ორი სხივი – ციდან ჩამოწვილი ხელები შენი – ეფერებიან ჩემს ჰრანჭია დედამიწას. მისი წყლუთი – ზღვების და ოკეანეების შენი სიმაღლიდან ფერია ცის, მოწმენდილის ან მოდრებულის. მიწათ: სად – ბერწი, სად – ასფალტ-ბეტონის უსქედევი ტყავის სამოხლის ქვეშ. მხოლოდ შენი ნაფხურები – ევაილეუთი. და ჰაერი, რომელსაც ეჭებოდი. ტბაც, რომლის ზედაპირზე ნავით და ფეხისეულებით მოსიარულე თვალები, რომელთაც ჩავისტეხს სწოფსადავით... შენი ორი ნაფხური ჩემს გულში. ორი სხივივით.

პოეზიის სეზონი

უხვპირდა პრიკლე საღლიანთან

„ვაჟკაცებს ვეძებ, სიკვილის თვალბეჭდით რომ შესცქერიანო“, – მითის მემამბოხე რაინდის, ცნობილი ქართველი მწერლის, ალექსანდრე ყაზბეგის, სიტყვები ვაგვახსენა ახლახან ჩვენს უნივერსიტეტში ყველასთვის საყვარელ პოეტთან, პრიკლე საღლიანთან შეხვედრამ.

ალბათ იმიტომაც, რომ მის ყოველ ფრაზაში, სტრიქონში, მთელ შემოქმედებაში და, რაც მთავარია, ცხოვრების წესში, სწორედ ეს თვისება იკითხება ყველაზე მკაფიოდ. სწორედ ამიტომ შეხვედრაზე, რომელსაც, გარდა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების და სტუდენტებისა, ესწრებოდნენ პოეტის მეგობრები, ახლობლები, საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ადამიანები, არაერთგზის გაუღერდა ეპითეტები: „ნაღდი“, „უღალატო“, „მართალი“, „სვანეთის სინდისი“ და ა. შ.

შეხვედრა უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით და თსსუ-ის პათოფიზიოლოგიის დეპარტამენტის პროფესორის, თეიმურაზ პეტრიაშვილის ინიციატივით გაიმართა, რომელიც მიესალმა შეკრებილ საზოგადოებას და მოკლედ ისაუბრა ერეკლე საღლიანის მიერ განვლილ გზასა და მის პიროვნულ ღირსებებზე.

საღამოს მთავარი გმირი თავად უძღვებოდა ამ თბილ შეხვედრას: „ჩემთვის დიდი პატივია წარდგე სამედიცინო საზოგადოების და მომავალი ექიმების წინა-

შე, – აღნიშნა მან, – მადლობა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, სტუდენტობას, ბატონ თემურ პეტრიაშვილს, რომ მხარი დაუჭირეს და უზრუნველყვეს ამ შეხვედრის ორგანიზება. ვფიქრობ,

ლია ჩემთვის“.

როგორც სტუმარმა მართებულად აღნიშნა, ყველაზე მთავარი გარანტი ერის უკვდავებისა, თაობათა შორის კავშირია, რამეთუ ერთი ილუპება მაშინ, როცა



ისეთი არაფერი გამიკეთებია, ასეთ მნიშვნელოვან აუდიტორიასთან შეხვედრის პატივი მრგებოდა წილად, თუმცა ეს ერთგვარად დიდ პასუხისმგებლობასაც მაკისრებს – უნდა უკეთ ვნერო, ვაკეთო, ვიცხოვრო, ვიდრე დღემდე. ამას კი სულიერი თანადგომის გარეშე ვერ შევძლებ. სწორედ თქვენი, საზოგადოების, თანადგომა და სიყვარული დიდი სტიმუ-

წყდება ეს კავშირი; ამიტომაც მან, უპირველესად, ახალგაზრდები: ჯარჯი შუქიაური და კახა გაზდელიანი მოიხმო სცენაზე, რომელთა მიერ წაკითხულმა ლექსებმა და უფროსი მეგობრის ღვაწლის შეფასებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელზე.

ქუთაისის ღვთისმშობლის ტაძრის წინამძღვარმა, მამა ექვთიმემ, მსახიობმა ელგუჯა ბურდუ-

ნატო გოლქვაძე

დარეჯან კომლაძე

მედიცინის სიახლენი



საშვილოსნოს ამოკვეთისას უნდა შენარჩუნდეს საკვერცხეც, - აცხადებენ ონკოლოგები. საკვერცხის ამოჭრა ჩვეული პრაქტიკაა გისტერექტომიისას, მაგრამ, როგორც ამჟამინდელი კვლევებით დასტურდება, ქალის ჯანმრთელობისთვის უმჯობესია მათი შენარჩუნება - თუ საკვერცხის ამოკვეთით მცირდება ამ ორგანოს კიბოს განვითარების რისკი, ამავედროულად, იზრდება სხვა მიზეზით, კერძოდ, გულის დაავადებით და კიბოს სხვა ფორმისგან გამომდინარე სიკვდილიანობის რისკი. ასე, რომ სჯობს თავის შეკავება ამ მანიპულაციისგან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მალა-ლია საკვერცხის კიბოს განვითარების რისკი, განპირობებული გენეტიკური მუტაციით ან ძლიერი მემკვიდრული ფაქტორებით.

მაშასადამე, რომლებიც ყოველდღიურად მიირთმევენ ჩაის, 37%-ით ნაკლებად ავადდებიან წინამდებარე ჯირკვლის კიბოთი, ვიდრე ძლიერი სქესის ის წარმომადგენლები, რომლებიც ჩაის კვირაში ერთჯერ სვამენ.

კვლევების ავტორები აღნიშნავენ, რომ ჩაის სასარგებლო თვისებები მათში პოლიფენოლის შემცველო-

ბითაა განპირობებული.

იაპონელებმა დაამტკიცეს, რომ როგორც მწვანე ჩაის, ასევე, მწვანე ყავის მიღება 14-20%-ით ამცირებს ინსულტის განვითარების რისკს.

შვეიცარიელი მეცნიერების მტკიცებით, კბილის ნადები არა მხოლოდ "აფუჭებს ღმირს", არამედ ხელს უწყობს კიბოს განვითარებას.

გამოკვლევების შედეგები გამოქვეყნდა ონ-ლაინ ჟურნალში "BMJ Open"-ში, სადაც გაანალიზდა 1400-მდე შემთხვევა, რის მიხედვითაც, დადგინდა, რომ ბაქტერიებით პირის ღრუს მალალი ხარისხით ხანგრძლივმა დასნებოვნებამ ორგანიზმში შეიძლება კარცინოგენზამდე მიიყვანოს.

შაკივი 30%-ით ამცირებს მკერდის კიბოს განვითარების რისკს. სადღეისოდ ამ გენეტიკური დაავადებისგან სრული განკურნება შეუძლებელია - მსოფლიოში ყოველი მეოთხე ქალი იტანჯება შაკივის თანმხლები გამანაშენებელი თავის ტვივილისგან, მაგრამ ზიანის გარდა შაკიკს, როგორც ჩანს, სიკეთის მოტანაც შეუძლია.

ცნობილია, რომ ქალებს, ზოგადად, მძიმედ გადააქვთ ტვივილი, თავის ტვივილის მიმართ კი განსა-

კუთრებით მგრძობიარენი არიან. ამ მოვლენას მეცნიერები იმით ხსნიან, რომ ქალის ტვინი უფრო ნაკლებად შეიცავს სეროტონინს, რომელსაც, ყველაფერთან ერთად, გამაუტკივარებელი ფუნქციაც აქვს.

მეცნიერები მიიჩნევენ, რომ შაკივით ხშირად მოავადენი 30%-ით მეტად არიან დაცულნი სარძევე ჯირკვლის კიბოს განვითარების რისკისგან. ამ დასკვნამდე მივიდნენ ისინი 3000 ქალზე ჩატარებული გამოკვლევების შედეგად.

ავსტრალიაში ამჟამად ცდიან კანის კიბოს თერაპიის პრინციპულად ახალ პრეპარატს.

ავთისებიათი სიმსივნის ყველაზე ცნობილ 200 ფორმას შორის მეტნაკლებადაა გავრცელებული ბაზალურ-უჯრედოვანი კარცინომა და, ალბათ, მალე ექიმთა არსენალში, ქირურგიული სკალპელის გვერდით, გაჩნდება კანის კიბოს ამ ფორმის სამკურნალწამლო მეთოდი. როგორც მეცნიერები იუწყებიან, ადამიანებზე ჩატარებული ცდების შედეგად, მათ შეძლეს მიეღოთ ექსპერიმენტული პრეპარატი - D213 -ის თერაპიული ეფექტი.

უნდა ითქვას, რომ სიდნეის უნივერსიტეტის მეცნიერების მიერ მიღებული შედეგი ისეთი შთაბეჭდილება, რომ მათ საჭიროდ ჩათვალეს ამის შესახებ განცხადებინათ ჟურნალში - The Lancet.

ალბერტის უნივერსიტეტის მკვლევრები კიბოს მკურნალობის ახალი მეთოდის აღმოჩენის წინაშე დგანან - სურთ შექმნან მედიკამენტი, რომელიც კიბოს უჯრედებზე კოფეინის გამანადგურებელი მოქმედებით ხასიათდება.

მეცნიერთა მიერ დროზედროზე ჩატარებული წარმატებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ მელანომას ავთისებიათი უჯრედები ზემოქმედობიარენი აღმოჩნდნენ კოფეინის მიმართ, რამაც უჯრედების "თვითმკვლელობა" გამოიწვია.

უცხოური პრესის მასალების მიხედვით მოამზადებინა **დარეჯან კომლახე**

STST - სტუდენტთა სასწავლო სამეცნიერო საუბრები

„ცისფერ დარბაზში“, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის და ივ. თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების ორგანიზებით, ჩატარდა რიგით მე-14 კონფერენცია „სტუდენტთა სასწავლო სამეცნიერო საუბრები“, რომელშიც თსსუ-ის სტუდენტებთან ერთად მონაწილეობდნენ ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის და უმაღლესი სამედიცინო სკოლა „აიეტის“ სტუდენტები.

ჟიურის საპატიო წევრებად მონაწილე იყვნენ: თსსუ-ის ვიცე-რექტორი პროფესორი **დავით ჭავჭავაძე**, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, პროფესორი **ირინე კვაჭაძე**, სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრის დირექტორი, პროფესორი **ლუიზა გაბუნია**, ბიოფიზიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი **თამარ სანიკიძე**, ბიოლოგიისა და პარაზიტოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი **დავით ცხომელიძე**, ჰისტოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი **ნათია გუჯაბიძე**.

კონფერენციაში მონაწილე ქართველმა და უცხოელმა სტუდენტებმა წარმოადგინეს საინტერესო მოხსენებები ქართულ, ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ ენებზე.

კონფერენციის დასასრულს ჟიურის მიერ გამოვლინდა ორი საუკეთესო მოხსენება - ანა მამუჩაშვილის - „Art and Medicine“, მანანა კუციას - „GM Products and leishmania“ და, ასევე, დამსწრე საზოგადოების ორი რჩეული მოხსენებელი - ნათია ჩხენკელი და ანა გაბრიაძე.

გამოსახილველი ნანა იოსებაშვილი



ნანა იოსებაშვილი იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომელიც, ორი უძველესი ერის შვილთა დიდი სიყვარულის შედეგად მოველინა ქვეყანას. მისი მშობლები - ცისანა თოფურია და სიმონ იოსებაშვილი - ქართველი და ებრაელი ერების სახელოვანი წარმომადგენლები იყვნენ.

უნიჭიერესი გოგონა ხუთი წლის ასაკში მიიღეს თბილისის 71-ე საშუალო სკოლაში, სადაც, მრავალმხრივ გამორჩეული მოსწავლე იყო, იგი ასევე წარმატებით სწავლობდა ქორეოგრაფიულ სტუდიასა და მუსიკალურ სასწავლებლებში.

თხუთმეტი წლის ასაკში ნანა უკვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა; მესამე კურსზე დაოჯახდა და სამი შვილიც შეეძინა.

1977 წლიდან ნანა იოსებაშვილი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (უნივერსიტეტის) მიკრობიოლოგიის, ვირუსოლოგიის და იმუნოლოგიის კათედრის (ამჟამად - დეპარტამენტის) თანამშრომელია. ახალი მეთოდების ასათვისებლად მას ხშირად უწევდა მოსკოვისა და ლენინგრადის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში სტაჟირება თუ მივლინება. ამასთან, კათედრის უფროსი მეგობრების თანადგომით და საკუთარი შრომისმოყვარეობის და ტალანტის წყალობით, წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა როგორც საუკეთესო სპეციალისტი: გახდა დეპარტამენტის დოცენტი, შემდეგ - პროფესორი. იგი, ასევე, წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა კავკასიის ქვეყნების ებრაული თემების ცოდნისა და ინფორმაციის ცენტრს; მისი თანაავტორობითაა გამოცემული ბიოლოგიის სახელმძღვანელო მერვე

კლასის მოსწავლეებისთვის. ნანა ხარობდა საუკეთესო შვილებითა და შვილიშვილებით, თუმცა გულში მძიმე დარდს დაატარებდა - არასდროს ტოვებდა უდროოდ წასულ მეუღლესა და შვილებს ფიქრით.....

გამორჩეული ბუნების და გარეგნობის ქალბატონი უყვარდა ყველას - დიდას და პატარას - უნივერსიტეტის თანამშრომლებს თუ მრავალრიცხოვან სტუდენტობას.

დიდ ინტელექტუალობასთან ერთად, დაუფიქრებელი მისი ადამიანებთან ურთიერთობის შესაძურის ნიჭი, გულისხმიერება, შინაგანი კულტურა, რითაც ნანამ ნამდვილად დაამახსოვრა თავი კოლეგებს, თანამშრომლებს, სტუდენტებს, მეგობრებს თუ ახლობლებს....

ნათელში იყოს ნანას ღამაში სული და მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის მშობლიური მიწა!

თსსუ-ის მიკრობიოლოგიის, ვირუსოლოგიის და იმუნოლოგიის დეპარტამენტი, "სამედიცინო გაზეთის" რედაქცია.

სამიხარი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორატი, ადმინისტრაცია, კანცელარია, "სამედიცინო გაზეთის" რედაქცია თანაგრძობას უცხადებენ კანცელარიის უფროსს, **ნინო ჩხინაძეს**, ძმის - **კობა ჩხინაძის** გარდაცვალების გამო.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, სამედიცინო ქიმიის დეპარტამენტი, "სამედიცინო გაზეთის" რედაქცია თანაგრძობას უცხადებენ სამედიცინო ქიმიის დეპარტამენტის თანამშრომელს, აკადემიურ დოქტორს ქიმიამი, **მზევინარ (მზეო) თავბერიძეს**, მეუღლის **რევაზ ცერცვაძის** გარდაცვალების გამო.

სპორტი

მიმდინარე იუბილე



ით, ასევე, სპორტისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორის, ბატონი **ზაურ ფხალაძის**, თანადგომით და ამავე ცენტრის თანამშრომლის, უნივერსიტეტის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელის, ტურნირის მთავარი მსაჯის, **ვახტანგ ბაქანიძის**, ერთუზიანობით, ჩატარდა საუნივერსიტეტო ტურნირი მინი-ფეხბურთში, რომელიც მიმდინარე ცნობილი ქართველი მედიკოსის, თსსუ-ის სამედიცინო რეაბილიტაციის, კინეზოთერაპიისა და სპორტული მედიცინის ლეანდროსილი სპეციალისტის, პროფესორ **რომანოზ სვანიშვილის**, დაბადებიდან 85 წლის იუბილეს.



აღსანიშნავია, რომ ტურნირი დაიწყო მარტის ბოლოს და თითქმის თვე-ნახევრის განმავლობაში მიმდინარეობდა, საიდანაც შეირჩა 20 გუნდი, რომლებიც დაიყო 4 ქვეჯგუფად; ჯგუფებიდან საუკეთესო 2-2 გუნდი მეოთხედინალში გავიდა, ნახევარფინალში კი - 4 საუკეთესო; „კატენა-რომ“ მოუგო „მორგს“, ანგარიშ-

ით - 5:3; „ნიგერია“ „თბილისის სიტის“ - 2:2 (ძირითადი დრო), პენალტებით მოიგო ნიგერიის ნაკრებმა - 4:3.

მესამე ადგილისთვის შეხვედრა „თბილისის სიტისა“ და „მორგს“ შორის, დამთავრდა ანგარიშით - 3:1;

ფინალში ერთმანეთს შეხვედნენ „ნიგერია“ - „კატენა-რომ“, სადაც ნიგერიელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით - 5:1;

საფინალო თამაშს ესწრებოდნენ თსსუ-ის სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები.

საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები დაჯილდოვდნენ თასებით, სიგელებით და მედლებით.

პროფესორმა **რომანოზ სვანიშვილმა** სტუდენტი ფეხბურთელები დააჯილდოვა საკუთარი ნიგნებით - „ფიზიკური დატვირთვა“ და „ორგანიზმის გაკაჟება“.

გამოვლინდნენ სხვადასხვა ნომინაციაში გამორჩეული ფეხბურთელები: **კრისტოფერ ზოპი, კლიფორდ ინჯა, ვიტეს ამატუ** (ნიგერიის ნაკრები); **თენგიზ სისორდია, გიორგი პაიჭაძე, გიორგი ჭუმბურიძე, მირიან ჯიქია, გიორგი სალინაძე**.

გამარჯვებულები დააჯილდოვეს პროფესორმა **რომანოზ სვანიშვილმა**, თსსუ-ის რექტორის მოადგილემ, **გიორგი აბესაძემ**, სპორტისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორმა, **ზაურ ფხალაძემ** და ცენტრის თანამშრომელმა, მწვრთნელმა **ვახტანგ ბაქანიძემ**.

მარი ხანიკაევი